



ადვოკატთა
საინჟინერო-სამართლებრივი
საზოგადოებრივი კავშირი



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

დეკემბერი №4

სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები

თბილისი 2015



სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეოთხე ნომერი
ქ. თბილისი, დეკემბერი, 2015 წ.
ISSN 1512-4525

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“
ერთობლივი გამოცემა

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

აკრძალულია ჟურნალში წარმოდგენილი მასალის
გამოყენება წყაროს მითითების გარეშე

აღნიშნული წესი არ ვრცელდება კონკრეტული
სტატიის ავტორზე

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორი:

მარიკა არევაძე

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის და ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ დამფუძნებელი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა J & T Consulting-ის მმართველი პარტნიორი - გიორგი ცერცვაძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საგანმანათლებლო საბჭოს ხელმძღვანელი, იურიდიული კომპანია K&K Consulting-ს მმართველი პარტნიორი - ირაკლი ყანდაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - მალხაზ ზაგიაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი - თამარ ბიწაძე

მედია-სამართლის სპეციალისტი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - არჩილ კაიკაციშვილი

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი - ანა კიკნაძე

სამართლის ბაკალავრი, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტი - ბექა ჯავახიშვილი

გამოცემის დიზაინი:

რობი გეთიაშვილი

სტამბა:

დანი

სარჩევი

წინათქმა	4
რევაზ მიქაბერიძე უმრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემატიკა გარდამავალ პერიოდში, ისტორიული გენეზისი	5
მარიკა არევაძე ადამიანის უფლებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები	14
სოფიო ბერიანიძე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას გათვალისწინებული სამოქალაქო- სამართლებრივი დაცვის სახეები	25
ნინო გოშხეთელიანი დავით გალდავა საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება	33
მაია ტარულიშვილი ნარკოტიკული დანაშაულის ზოგადი დახასიათება	42
ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ 2015 წელს გამოცხადებული ანალიტიკური თემების კონკურს - „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეების საკონკურსო ნამუშევრები	48

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიის შინაარსსა და
მასში გამოყენებული მასალის მიმართ არსებული საავტორო უფლებების დაცვაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

წინათქმა

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გამოცემა დაიწყო 2014 წელს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცა 2014 წლის მარტის თვეში. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და სამართლის დარგში აღიარებულ მეცნიერებს, საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატებს, დამწყებ თუ მოქმედ იურისტებს/ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე მოამზადონ და გამოაქვეყნონ სტატიები. ჟურნალი არის რეფერირებადი გამოცემა და მას მინიჭებული აქვს პერიოდული გამოცემის ნომერი - ISSN 1512-4525. 2015 წლის ივლისიდან, ჟურნალის გამოცემა ხორციელდება ერთობლივად ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ.

ჟურნალის წინამდებარე ნომერში კონკურსის შედეგად გამოვლენილი სტატიების გარდა, ასევე წარმოდგენილია ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მოცხადებული ანალიტიკური თემების კონკურსში: „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეების საკონკურსო ნამუშევრები. კონკურსის - „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“, სფეციფიკის გათვალისწინებით საკონკურსო ნამუშევრები არ არის შეცვლილი ან/და დაკორექტირებული სამეცნიერო ჟურნალის სტანდარტებისა თუ მოთხოვნების შესაბამისად და გამოაქვეყნებულია იმავე ფორმით, რა ფორმითაც იქნა მოწოდებული კონკურსანტების მიერ.

ჟურნალ „ახალგაზრდა ადვოკატების“ რედაქტორი მადლობას უხდის ყველა პირს 2015 წლის განმავლობაში გაწეული თანადგომისა და თანამშრომლობისათვის, მათ შორის განსაკუთრებული მადლობა სარედაქციო გუნდს და თითოეული სტატიის ავტორს.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემატიკა გარდამავალ
პერიოდში, ისტორიული გენეზისი

რევაზ მიქაბერიძე
სამართალმცოდნე, მაგისტრთან გათანაბრებული

საკუთრების უფლება ერთ-ერთი პრიორიტეტულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის, რაც ასახვას პოულობს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად (კონსტიტუციურ) კანონებში. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა – საქართველოს კონსტიტუციის¹ 21-ე მუხლით, საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც უძრავი ქონება სამოქალაქო ბრუნვის და ზოგადად ბიზნეს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტია, საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მექანიზმებმა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა. ცხადია რაც უფრო დაცული და უზრუნველყოფილია საკუთრების უფლება, მით უფრო მყარია საბაზრო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა. შესაბამისად, ამ აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა, შექმნილიყო საკუთრების (და არამართო საკუთრების) უფლების უზრუნველყოფის ისეთი საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორცაა საკუთრების უფლების სახელმწიფო/საჯარო რეესტრი. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ინსტიტუტი სიახლეს წარმოადგენს და საბჭოთა დროში მას წინამორბედი არ გააჩნდა. იმ დროს არსებული ტექნიკური (თუ სხვა) აღრიცხვის სამსახურებს სრულიად სხვა დანიშნულება და ფუნქცია ჰქონდა, გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიზმის იდეოლოგიური საფუძვლები მკვეთრად განსხვავდება დღევანდელი ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისგან.

საბჭოთა კავშირში შემავალი სოციალისტური რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, კერძო საკუთრების უფლებას ფაქტიურად არც აღიარებდა და საკუთრების უფლებაში მოიაზრებდა სახელმწიფო და კოლექტიური დაწესებულებების (კოლმეურნეობები, პროფკავშირული თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები) საკუთრებას. თუმცა, საბჭოთა იდეოლოგია ბოლომდე ვერ გაეყვა კერძო საკუთრების არსებობის აუცილებლობას, რადგან ადამიანს, მათ შორის საბჭოთა ადამიანსაც, ესაჭიროებოდა არსებობისთვის აუცილებელი ნივთები, პირველ რიგში საცხოვრებელი ადგილი, სოფლად ამას მიწის ნაკვეთის ქონის აუცილებლობაც ემატებოდა. კერძო საკუთრებაში გარკვეული უძრავი ქონების არსებობის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მათი აღრიცხვის საკითხი, რისი მარეგულირებელი ნორმებიც საინტერესოდ აისახა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში². კერძოდ, აღნიშნული კოდექსის მიხედვით, ქალაქში ან დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებული უნდა ყოფილიყო სანოტარო

¹ საქართველოს კონსტიტუცია - N786, 24/08/1995.

² საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი - N36, 26/12/1964.

წესით და რეგისტრირებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დამოწმების დღიდან. ხოლო თუ საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა სოფელში, ხელშეკრულება დადებული უნდა ყოფილიყო წერილობითი ფორმით (ანუ სანოტარო წესით დამოწმება არ იყო სავალდებულო) დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და ამ მუხლით დადგენილი წესების დაუცველობა იწვევდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობას. ანალოგიური წესი მოქმედებდა, ჩუქების და გაცვლის ხელშეკრულებების დადებისას, ასევე გირაოს შემთხვევაში, თუ საქმე ეხებოდა საცხოვრებელ სახლს³.

ზემოაღნიშნულში ხაზგასასმელია ერთი გარემოება, რომ რეგისტრაციის მომენტს უკავშირდებოდა არა საკუთრების უფლების, როგორც სამართლებრივი კატეგორიის წარმოშობა, არამედ ხელშეკრულების დადება/ძალაში შესვლა. ეს აზრი გატარებულია ასევე, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშიც, მაგალითად: „გირავნობის უფლება წარმოიშობა საცხოვრებელი სახლის (აგარაკის) მიმართ – ხელშეკრულების რეგისტრაციის მომენტიდან...“⁴ აშკარაა, რომ მოყვანილ მუხლებში რეგისტრაცია წარმოშობდა არა უფლებას, არამედ ადასტურებდა ხელშეკრულების დადების ფაქტს (რათქმაუნდა, ამ უკანასკნელს უკავშირდებოდა უფლების წარმოშობა) და წარმოადგენდა კონკრეტული ხელშეკრულების დადების (ნების გამოვლენის) კანონით დადგენილ ფორმას. ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მითითებული კოდექსის თანახმად, მოქალაქეს პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონოდა ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი). ზღვრული ოდენობა საცხოვრებელი სახლისა (ან მისი ნაწილისა), რომელიც შეიძლება ჰქონოდა მოქალაქეს პირად საკუთრებად არ უნდა ყოფილიყო 60 კვ.მ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართობის შემთხვევაში და 40 კვ.მ-ზე მეტი დამხმარე ფართობის შემთხვევაში⁵. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა ის შემთხვევა, როცა მეორე შენობა გამოიყენებოდა მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების დასასვენებლად ან სამკურნალო მიზნით საკურორტო თუ სააგარაკო ადგილასამყოფლად⁶.

ამდენად, თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რეგისტრაციის სავალდებულოობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლის (ბინის) ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის, დაგირავების და არა ზოგადად უძრავი ქონების განკარგვის შემთხვევებისთვის, ხოლო თავის მხრივ საცხოვრებელი სახლისთვის დადგენილი იყო ფართის (რაოდენობის) ზღვრული ოდენობები, ცხადი გახდება, რომ რეგისტრაციას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით ჰქონდა კონკრეტული ფუნქცია და მიზანი - შენარჩუნებული და გაკონტრულებული ყოფილიყო კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) ფართების მიმართ კანონით დადგენილი ზღვრული მოთხოვნები. ანუ, ამ ხელშეკრულებების რეგისტრაციის დანიშნულება კერძო საკუთრების შეზღუდვის და ამ შეზღუდვაზე სახელმწიფო

³ იქვე, 239 მუხლი - N36, 26/12/1964.

⁴ იქვე, 192 მუხლი - N36, 26/12/1964.

⁵ იქვე, 104 მუხლი - N36, 26/12/1964.

⁶ იქვე, 105 მუხლი - N36, 26/12/1964.

კონტროლის განხორციელების ფუნქცია და მიზანი იყო; საბჭოთა სახელმწიფო იმდენად ერეოდა საკუთრების უფლებაში, რომ იგი თვითონ იღებდა პასუხისმგებლობას, მოქალაქეებს შორის, მიუხედავად მათი შესაძლებლობისა, თანაბრად გაენაწილებინა საკუთრება. საბჭოთა სახელმწიფომ „ზუსტად იცოდა“, თუ რამდენი და როგორი პირადი საკუთრება სჭირდებოდა საბჭოთა მოქალაქეს პირადი მოხმარებისთვის⁷.

ეს ფუნქცია გათვალისწინებულია ასევე, საბჭოთა პერიოდში მოქმედი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების საქმიანობის საფუძვლებშიც, რომლებშიც აღირიცხებოდა საცხოვრებელი სახლები მიმდებარე მიწის ნაკვეთებით, ინდივიდუალური ბინები, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები (თითოეული ოთახისა და მისი ფართის მითითებით). ამ შემთხვევაში, როგორც სახელწოდებაც მეტყველებს, ძირითადი აქცენტი უშუალოდ უძრავი ნივთის აღრიცხვა/აღწერაზე იყო გაკეთებული და უფლების წარმოშობას არ განაპირობებდა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში უძრავი ქონების აღრიცხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტექნიკური აღრიცხვის ბიურო გარკვეული პერიოდი კიდევ არსებობდა, როგორც აქტიური და განსაზღვრული სახელმწიფოებრივი დანიშნულების ორგანო და ერთბაშად ვერ მოხერხდა ახალი, თანამედროვე მოთხოვნების ინსტიტუტის დანერგვა. შესაბამისად, შეიქმნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც ეხებოდა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს და რომლებიც ცდილობდნენ მის „გადაყვანას“ ახალი სინამდვილის მოთხოვნებზე. ეს პროცესი თავისთავად საინტერესო იყო.

ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების სპეციფიკის უკეთ გასაგებად ყურადსაღებია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ტიპური დებულება.“⁸ კერძოდ, დებულების თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიზანია განაშენიანებულ ტერიტორიებზე მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების, კეთილმოწყობის ობიექტების, მიწისქვეშა და მიწისზედა საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური აღრიცხვა-დახასიათება, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია⁹. ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის აღნიშნული მიზანი, მიუხედავად მისი „უწყინარი“ ხასიათისა, მჭიდრო კავშირშია კომუნისტური ეპოქის იდეოლოგიასთან და არანაირად არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს, რამდენადაც, თავის დროზე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მახასიათებლების აღრიცხვა ხდებოდა საბჭოთა მოქალაქის საცხოვრებელი სახლის ფართობის ზღვრული ოდენობის დადგენა/კონტროლის მიზნით და არა საკუთრების უფლების დაცვა/უზრუნველყოფისთვის.

⁷ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია და სხვები; გამომცემლობა შპს „პეტიტი“; თბილისი, 2013 წელი. გვ. 202.

⁸ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ბრძანება ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ - N47, 20/07/1999.

⁹ იქვე, 1 მუხლი - N47, 20/07/1999.

აი, ამგვარ ორგანოს დააკისრა საქართველოს 1997 წლის 26 ივნისის ახალმა სამოქალაქო კოდექსმა¹⁰ დროებით საჯარო რეესტრის ფუნქციის განხორციელება, ზოგიერთი სანივთო უფლების სამართლებრივი ბედი დაუკავშირა რა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას (საკუთრება, აღნაგობა, უზუფრუქტი, იპოთეკა). გარდამავალი პერიოდისთვის ახალი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული იყო, რომ: „საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება მოხდეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე. ამასთან, მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოხდეს მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში...“¹¹ გარდა ამისა, იქვე აღნიშნულია: „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე კოდექსით ამ სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციები განახორციელონ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებმა.“¹²

ამდენად, სამოქალაქო კოდექსმა გარდამავალი პერიოდისთვის (სანამ შეიქმნებოდა საჯარო რეესტრის ფუნქციის მქონე ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საჯარო რეესტრის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები ფაქტიურად გაუნაწილა ორ დაწესებულებას: ტექნიკური აღრიცხვის სამსახურსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს, თავისი გეოგრაფიული ზონის ორგანოებით – მიწის რეგისტრატურებით.¹³

მიწის რეგისტრატურებში (სახელის მიუხედავად) გარდა მიწისა, რეგისტრირდებოდა მიწასთან მყარად დაკავშირებული უძრავი ქონება¹⁴, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიწის ნაკვეთი თუ მასზე არსებობდა შენობა-ნაგებობა, გასხვისებისას შეიძლება ერთდროულად დარეგისტრირებულიყო მიწის რეგისტრატურაში და იმავდროულად აღრიცხულიყო ტექ. აღრიცხვის სამსახურში იმავე მიზნით, რისთვისაც მიწის რეგისტრატურაში რეგისტრირდებოდა. ამგვარი ორსისტემიანობა ბევრ გაუგებრობას და პრობლემებს ქმნიდა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ორგანოებს შორის არსებობდა გარკვეული კოორდინაცია, უფრო ზუსტად, კოორდინაციის ვალდებულება¹⁵, ¹⁶. კერძოდ, ტექ. აღრიცხვის სამსახური ვალდებული იყო უძრავ ნივთზე მასთან დაცული მონაცემები მიეწოდებინა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საჯარო რეესტრის სამსახურისთვის. მეორე მხრივ, უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობის) ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების და ა.შ. ხელშეკრულების სანოტარო (ნოტარიალურ) ორგანოში დადასტურების შემდეგ, უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება 30 დღის განმავლობაში უბრუნდებოდა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს ტექნიკური მაჩვენებლების შესამოწმებლად და მესაკუთრის ფიქსირებისთვის.

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - N786, 26/06/1997.

¹¹ იქვე, 1514 მუხლი - N786, 26/06/1997.

¹² იქვე, 1515 მუხლი - N786, 26/06/1997.

¹³ საქართველოს კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ - N490, 14/11/1996.

¹⁴ იქვე, 2 მუხლი, 2 პუნქტი - N490, 14/11/1996.

¹⁵ იქვე, 2 მუხლი, 6 პუნქტი - N 490, 14/11/1996.

¹⁶ იქვე, 2 მუხლი, 6 პუნქტი, „ზ“ ქვეპუნქტი, შენიშვნა - N47, 20/07/1999.

ამდენად ერთი შეხედვით, გაუგებარი იყო, რომელი სამსახური ითვლებოდა დროებით საჯარო რეესტრად ან მის წინამორბედად. თეორიულად შეიძლება ითქვას ისიც, რომ თუ მიწის რეგისტრაციის სამსახურში, ხოლო საცხოვრებელი სახლის, სხვა შენობა-ნაგებობების (მიმდებარე მიწის ნაკვეთით) შემთხვევაში აღრიცხვა ხორციელდებოდა ტექ. აღრიცხვის სამსახურებშიც. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული საკითხები განსხვავებულად და ქაოტურად წყდებოდა, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, თუ იმასაც ავლნიშნავთ, რომ იმ დროს მოქალაქეთა მხრიდან დიდი ყურადღება არ ექცეოდა საკუთრების უფლების აღრიცხვა/რეგისტრაციის მნიშვნელობას. ამ გაუგებრობის მთავარ მიზეზად კანონმდებლობის ხარვეზი უნდა ჩაითვალოს. კერძოდ, საუბარია სამოქალაქო კოდექსის 1514-ე და 1515-ე მუხლებზე, რომელთა შინაარსი ურთიერთსაწინააღმდეგოა: „მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოხდეს მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში“ (სკ-ის 1514-ე მუხლი), თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა მიწის რეგისტრაციის სამსახურები მიწასთან ერთად მიწაზე მყარად დაკავშირებულ უძრავ ნივთებსაც არეგისტრირებდნენ; ხოლო სკ-ის 1515-ე მუხლის მიხედვით კი, „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე კოდექსით ამ სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციები განახორციელონ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებმა“; აღნიშნულის შესაბამისად, მაგალითად მიწის ნაკვეთთან ერთად კერძო სახლის შეძენისას, გაუგებარი იყო, თუ რომელი უწყებისთვის უნდა მიემართა პირს - მიწის რეგისტრაციის სამსახურისთვის თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსთვის? ასევე, მაგალითად, თუ საქმე ეხებოდა მიწის ნაკვეთს, რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო მიწის რეგისტრაციის სამსახურში (სახელწოდებაც აქცენტირებულია მიწაზე), მაგრამ მეორეს მხრივ, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს უძრავ ნივთს, უძრავ ნივთზე კი საკუთრების უფლება წარმოიშობოდა სანოტარო წესით საბუთის დამოწმებისას და შეძენის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით (სკ-ის 183-ე მუხლის მაშინდელი რედაქცია).¹⁷ საჯარო რეესტრის ფუნქციები კი დაეკისრა ტექ. აღრიცხვის სამსახურებს. ამდენად, ამ ნორმების ანალიზის მიხედვით, მიწის ნაკვეთი უნდა დარეგისტრირებულიყო მიწის რეგისტრაციის სამსახურში და პარალელურად აღრიცხულიყო ტექ. სამსახურში. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით (საუბარია გარდამავალ პერიოდზე), ტექ. აღრიცხვის სამსახურებში მხოლოდ (შენობა-ნაგებობის გარეშე) მიწის ნაკვეთის აღრიცხვა არ ხდებოდა, რადგან ეს სამსახური, როგორც უკვე აღინიშნა, გათვლილი იყო უშუალოდ შენობა-ნაგებობების ტექნიკური აღრიცხვა-დახასიათების, ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციისთვის.

ამრიგად ნათელია, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის სფეროში გარდამავალი პერიოდისთვის არსებობდა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები. ამაზე მეტყველებს ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის N15-1 გადაწყვეტილებაც.¹⁸ რომელშიც აღიარებულია, რომ უძრავი ქონების უფლებათა რეგისტრაციის სფეროში სამსახურის დებულება ეწინააღმდეგებოდა „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო კოდექსს და რომ სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა არ შეესაბამებოდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

¹⁷ იქვე, 183 მუხლი - N786, 26/06/1997.

¹⁸ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მუშაობის შესახებ - N15-1, 20/12/2000.

ტექნიკური აღრიცხვის სამსახურებმა არსებობა დაასრულეს 2004 წელს, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის N416 ბრძანებულებით¹⁹ ლიკვიდირებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები. ამ სამსახურებში არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და არქივი გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. სააგენტოს გადაეცა ასევე ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება. ამავე წელს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.²⁰ თუმცა სააგენტოს შექმნით, ტექ. ბიუროებს მნიშვნელობა ბოლომდე არ დაუკარგავს, ბოლო დრომდე უფლებათა რეგისტრაციისას აქტიურად გამოიყენება მისი არქივი, მეტიც, კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ტექ. ბიუროში დაცული მასალები შეიძლება საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველიც გახდეს (მაგ: მართლზომიერი მფლობელობის დროს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ა.შ.).

წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დროის მოთხვენებმა შეცვალეს აღიცხვა/რეგისტრაციის ცნების მნიშვნელობა. თუ, ტექ. ბიუროების არსებობის დროს ძირითადი აქცენტი კეთდებოდა შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების ტექნიკური მახასიათებლების აღრიცხვაზე და შესაბამისად, კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვაზე, სამოქალაქო კოდექსმა და საჯარო რეესტრის შესახებ კანონმდებლობამ პირიქით, ამოსავალ დებულებად უშუალოდ საკუთრების უფლების რეგისტრაცია და მისი დაცვა აღიარა და არა საკუთრების უფლების ობიექტის მახასიათებლების აღრიცხვა. მართალია, საჯარო რეესტრში საკუთრების (ან/და სხვა უფლების) წარმოშობასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო წარმოების დროს ასევე უძრავი ნივთის გარკვეული მონაცემების აღრიცხვის პროცედურაა სახეზე, მაგრამ ამ დროს აღრიცხვა აქცენტირებულია უფლებაზე, ემსახურება უფლების წარმოშობას და დაცვას და არა პირდაპირ და უშუალოდ უძრავ ნივთს (უფლების ობიექტს). ამდენად, აღრიცხვის მომენტს პირველ რიგში უკავშირდება უფლების იურიდიულად წარმოშობა და არა უფლების ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების აღრიცხვა; ეს უკანასკნელი იმდენადაა საჭირო, რამდენადაც ეს უფლების წარმოშობისა და დაცვისთვისაა აუცილებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურებსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს შორის თითქმის ურთიერთსაწინააღმდეგო განსხვავებაა უფლებათა დაცვისა და წარმოშობის კუთხით, სასამართლო პრაქტიკამ ამ ორგანოებს შორის სამართალმემკვიდრეობისა და ტექ. აღრიცხვის სამსახურებში დაცული მონაცემების მიმართ უტყუარობის პრეზუმფციის არსებობის საკითხები დადებითად გადაწყვიტა. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებით²¹, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ცნობილ იქნა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ. განჩინებაში აღნიშნულია: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა უძრავ ნივთებზე არსებულ

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ - N416, 28/09/2004.

²⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება საჯარო სამართლის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ - N835, 19/07/2004.

²¹ სუს 29/04/2008 წ. განჩინება (საქმე N171-167(კს 08)).

უფლებათა აღრიცხვა-რეგისტრაცია...” და რომ „კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ საჯარო რეესტრის მიჩნევის სამართლებრივი წინაპირობა, რადგან ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა ლიკვიდირებული ადმინისტრაციული ორგანოს დარჩენილი ქონება, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი, არქივი, საშტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება. შექმნილი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს მსგავსი უფლებამოსილების მატარებელ ორგანოს.” ხოლო 2010 წლის 11 ნოემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში²² აღინიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ვრცელდება ასევე იმ დროს მოქმედი ტექნიკური რეგისტრაციის ბიუროში არსებული ჩანაწერების მიმართ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლი).

მართალია, აღნიშნული საკითხები სცილდება წინამდებარე სტატიის მიზნებს, მაგრამ დამატებით უნდა აღინიშნოს რამდენად არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების სამართალმემკვიდრე და შეიძლება თუ არა ამ სამსახურებში დაცულ მონაცემთა მიმართ მოქმედებდეს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ფრიად სადავო საკითხებია. თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის N416 ბრძანებულებით, სამართალმემკვიდრეობის საკითხი ამ ორ უწყებას შორის არ დადგენილა. ჩვენი აზრით, საჯარო რეესტრის სააგენტოს წინამორბედად მიწის რეგისტრატურების მიჩნევა უფრო სწორი იქნება, რადგან რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის ძირითადი პრინციპები მათ დროსაც მოქმედებდა და მარეგულირებელი კანონმდებლობით უფრო ახლოს იდგნენ საჯარო რეესტრის სააგენტოსთან, ვიდრე ტექნიკური აღრიცხვის ბიუროები. რაც შეეხება პრეზუმფციის საკითხს, მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულება²³, რომლის მე-15 მუხლის 4¹ პუნქტით: „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზით გათვალისწინებულ ფართობსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში დაცული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის არქივის მონაცემებით გათვალისწინებულ ფართობს შორის ცდომილების არსებობის შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე, კომისიის უფლებამოსილია იმსჯელოს ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მონაცემების (აზომვის) შესაძლო ცდომილების თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.“ ტექ. აღრიცხვის სამსახურების მონაცემთა ამგვარი გადასინჯვის აუცილებლობა გამოწვეული იყო მათ საქმიანობაში და შესაბამის მარეგულირებელ

²² სუს 11/11/2010წ. გადაწყვეტილება (საქმე Nას-442-414-2010).

²³ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ - N525, 15/09/2007.

კანონმდებლობაში დაშვებული მთელი რიგი ხარვეზებით და შეცდომებით. იმის ცალსახად დადგენა (დაშვება), რომ მათი მონაცემების მიმართ უნდა მოქმედებდეს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ხშირ შემთხვევაში ეს თავად რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციას დაუპირისპირდება.

წინამდებარე სტატია არის ერთგვარი მცდელობა ნათელი მოჰფენოდა გარდამავალი პერიოდის აღრიცხვა/რეგისტრაციის არაერთგვაროვან პრაქტიკასა და კანონმდებლობას, რამდენადაც ამის შესაძლებლობას სტატიის ფორმატი იძლევა, ვინაიდან ხსენებული ხარვეზების გამო, უძრავი ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას გარკვეული პრობლემები დღემდე იქმნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს 1997 წლის 25 ნოემბრის სამოქალაქოკოდექსი;
4. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 1999 წლის 20 ივლისის N47 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ტიპიური დებულება“;
5. 1996 წლის 14 ნოემბრის „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალადაკარგულია);
6. ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის N15-1 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მუშაობის შესახებ“;
7. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის N416 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ“;
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის N835 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულება“;
9. 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
10. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის (საქმე N171-167(კს 08)) განჩინება;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე Nას-442-414-2010);
13. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია და სხვები; გამომცემლობა შპს „პეტიტი“; თბილისი, 2013 წელი. გვ. 202

რეზიუმე

საქართველოს ახალმა 1997 წლის 25 ნოემბრის სამოქალაქო კოდექსმა, განსაზღვრა რა საკუთრების უფლება ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების მიხედვით, შემოიღო რა საჯარო რეესტრის ცნება და დაადგინა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის აუცილებლობა, დროებით საჯარო რეესტრის უფლებამოსილებათა განხორციელება დაავალა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურებს. თუმცა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურმა ვერ შეძლო სრულად ეტვირთა საჯარო რეესტრის ფუნქციები, ვინაიდან, როგორც სტატიაში აღინიშნა, ტექნიკური აღრიცხვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისგან, რომელსაც საკუთრების უფლების წარმოშობა და დაცვა უკავშირდება, არსობრივად განსხვავებული მოვლენა იყო და ფაქტიურად ასეთად დარჩა ბოლომდე; ამ სამსახურებმა ვერ მოახერხეს ფეხი აეწყოთ დროის მოთხოვნებისთვის. წინამდებარე სტატია ერთგვარი მცდელობაა, მოხდეს იმ პრობლემების სამართლებრივი დიაგნოზირება, რომელიც დღესაც წარმოიშობა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას და ხელი შეუწყოს ამ პრობლემების სწორ სამართლებრივ გადაწყვეტას. ვფიქრობთ, სტატიაში წამოჭრილი საკითხები არ უნდა იყოს ინტერეს მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სამართლებრივ ლიტერატურაშიც მათზე თითქმის არაფერი მოიძებნება.

ადამიანის უფლებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

მარია არევაძე
საქართველოს უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი;
მოწვეული ლექტორი

1. შესავალი

ადამიანის უფლებების იდეა არის უნივერსალური, რომელიც მიღებული და დადასტურებულია ვირტუალურად ყველა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, მიუხედავად მათი ისტორიული, კულტურული, იდეოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა მრავალი განსხვავებისა. ეს არის საერთაშორისო დიპლომატიის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ინსტიტუტების საგანი²⁴.

ადამიანის უფლებები განეკუთვნება უფლებათა იმ წრეს, რომელიც ადამიანს გააჩნია უბრალოდ იმიტომ, რომ ის არის ადამიანი და ეს უფლებები ყველა ადამიანს გააჩნია თანაბრად უნივერსალურად და სამუდამოდ. ადამიანის უფლებები არის განუყოფელი და ამ უფლებების დაკარგვა გამოირიცხება, მანამ სანამ ადამიანი არ შეწყვეტს არსებობას. თუმცა მიუხედავად ყოველივე თქმულისა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში არის ვითარება, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია განხორციელდეს ადამიანის უფლებების დაცვა და აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება სწორედ ადამიანის უფლებების საკითხი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მცდელობების მიუხედავად, დღესაც მწვავე საკითხს წარმოადგენს „ოკუპაცია“. წლებია საქართველოს სახელმწიფო აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას, ვინაიდან, რუსეთის სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კი ბოლოს ღია სამხედრო აგრესია 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო დღესაც განიცდის „მცოცავ ოკუპაციას“, რაც გამოიხატება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოკუპანტების მიერ აღმართული მავთულხლართების პერიოდული გადმოწევით.

2.1. აფხაზეთი

²⁴ Sally Falk Moore, 2005, LAW AND ANTHROPOLOGY a reader, by Blackwell Publishing ltd. ISBN 1-4051-0227-6

http://books.google.ge/books?id=ZE31NmBl8B8C&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false .

აფხაზეთი - საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში 1 ზონა და 5 რაიონია: გაგრის ზონა; გუდაუთის რაიონი; სოხუმის რაიონი; გულრიფშის რაიონი; ოჩამჩირის რაიონი; გალის რაიონი²⁵.

აფხაზეთის ოკუპირება 1993 წლიდან იწყება, კერძოდ 27/09/1993 წელს რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილო კავკასიის კონფედერანტებისა და დაქირავებული „ბოევიკების“ მეშვეობით, აფხაზი სეპარატისტების მიერ აღებულ იქნა ქ. სოხუმი. 30/09/1993 წელს რუსეთის სამხედრო რესურსებისა და დაქირავებული რაზმების ხელშეწყობით, სეპარატისტებმა მოახდინეს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. ამავე პერიოდში ოკუპანტების მიერ განხორციელდა ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა; აფხაზეთი თითქმის დაიცალა ქართული მოსახლეობისაგან, რის შედეგად 350 ათასზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა; განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულ იქნა ეუთო-ს 1994 წ. ბუდაპეშტის, 1996 წ. ლისაბონისა და 1999 წ. სტამბოლის სამიტების რეზოლუციებში²⁶. დღეს-დღეობითაც ოკუპირებულია აფხაზეთი და შესაბამისად, იქ არსებული შემდეგი ქალაქები - სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, ახალი ათონი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი და გალი²⁷.

2.2. ცხინვალის რეგიონი / სამხრეთ ოსეთი

ცხინვალის რეგიონი / სამხრეთი ოსეთი, რეგიონის პირობითი სახელია, რომელიც მოიცავს ყოფილი საქართველოს სსრ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას. 1989 წელს დაწყებული ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1990 წლის დეკემბრის თვეში გააუქმა ოლქის სტატუსი. ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რითაც წაახალისა ოსი სეპარატისტები. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ნაწილები²⁸.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად კონფლიქტურ რეგიონებში სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ომამდელი ფიქტიური სამშვიდობო ოპერაცია (რეალურად შენიღბული რუსული ოკუპაცია) შეწყდა, რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ღია ოკუპაცია, რომელიც ამჯერად მათი ფსევდო დამოუკიდებლობის აღიარებით შეინიღბა. ამავე წელს საქართველოს პარლამენტის კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ორივე რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად იქნა აღიარებული²⁹.

2008 წლის აგვისტოდან დღემდე რეგიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს რუსეთის საოკუპაციო არმია. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის

²⁵ http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=41 .

²⁶ http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=44 .

²⁷ http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=45 .

²⁸ სონდულაშვილი ა. – „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! - თბილისი 2009.

²⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში 2009-2012 წწ.

http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=92&info_id=1033.

რესპუბლიკა“ არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, რომელიც მდებარეობს საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიაზე.

3. საქართველოს კანონმდებლობა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამართლებრივად რეგულირებული საკითხების ნათლად დანახვის მიზნით მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც რიგ საკითხებთან მიმართებით დგინდება იმპერატიული მოთხოვნები და რომელთაც გარკვეული ზეგავლენა აქვთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებების განხორციელებაზე.

3.1. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ³⁰

კანონი მიღებულ იქნა 2008 წელს და მასში პირდაპირ არის მითითება იმის შესახებ, რომ საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით გაცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია. კანონის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიები და ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)³¹. 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან გამომდინარე, ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება საჩხერის რაიონის სოფელ პერევეზე, ქურთის, ერედვისა და აჟარის მუნიციპალიტეტების და ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე³²

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე ამავე კანონის მოქმედების ვადით ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ამ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამავე კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით³³.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე კანონის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი (დანიშნული/არჩეული) ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი) არის უკანონო, რომელიც შექმნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რაიმე ფორმით ფაქტობრივად ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციებს ან სხვა საქმიანობას, რაც მიეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი

³⁰ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ – N431, 23/10/2008.

³¹ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ა“, „ბ“ პუნქტები; N431, 23/10/2008.

³² იქვე, მუხლი 10, 2 პუნქტი - N431, 23/10/2008.

³³ იქვე, მუხლი 3 - N431, 23/10/2008.

თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებს. ასეთი ორგანოების მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტი ითვლება არარად და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული აქტი გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მიზნებისათვის³⁴.

კანონის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. აღნიშნულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის კანონით გათვალისწინებული მიმართულების გარდა, „ყველა სხვა მიმართულებიდან“ — რუსეთის ჩათვლით, აკრძალულია და „ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით“³⁵. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს³⁶.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებენ გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას მოსახლეობის სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, მოსახლეობას უზრუნველყოფენ საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილებების საგნებით. თუმცა ასეთი საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა შეატყობინონ საქართველოს მთავრობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი / განხორციელებული შესაბამისი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო, აგრეთვე წარუდგინონ ინფორმაცია იმ დახმარების შესახებ, რომელიც მათ გაუწიეს მოსახლეობას³⁷.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი აკეთებს პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დადებული ნებისმიერი გარიგება - დადების მომენტიდანვე ითვლება ბათილად და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს³⁸.

³⁴ იქვე, მუხლი 8, 1 და 2 პუნქტები - N431, 23/10/2008.

³⁵ იქვე, მუხლი 4, 2 პუნქტი - N431, 23/10/2008.

³⁶ იქვე, მუხლი 4, 3 პუნქტი - N431, 23/10/2008.

³⁷ იქვე, მუხლი 6 - N431, 23/10/2008.

³⁸ იქვე, მუხლი 5, 1 და 2 პუნქტები - N431, 23/10/2008.

ხაზგასასმელია, რომ კანონი პირდაპირ მითითებას აკეთებს ოკუპანტზე, როგორც აღნიშნულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტზე და სწორედ რუსეთის ფედერაციას, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს, აკისრებს პასუხისმგებლობას უფლებადარღვევის ფაქტებზე, რომლის ფარგლებიც განისაზღვრება საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად³⁹. აღნიშნული ფორმულირებიდან ჩანს, რომ თითოეულ პირს, რომელსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გააჩნია საკუთრების უფლება, რომლის რეალიზებასაც იგი ვერ ახდენს - აქვს უფლებამოსილება მიმართოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს და უფლების დარღვევისათვის მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია.

3.2. საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“⁴⁰

აღნიშნული კანონის შესაბამისად რეგულირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის დისკრიმინაცია, კერძოდ: დაუშვებელია დევნილთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, იმ მიზეზით, რომ ისინი არიან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის გამო⁴¹. კანონი ასევე ითვალისწინებს მუხლს, რომლის შესაბამისადაც, უნდა განხორციელდეს მოსახლეობის დაცვა იძულებით გადაადგილებისაგან. კერძოდ, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან იძულებითი გადაადგილებისაგან. ამ კუთხით სახელმწიფოს კანონის თანახმად აკისრია ვალდებულება - მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ისეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირთა იძულებითი გადაადგილება; უზრუნველყოს იძულებითი გადაადგილებისას დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების უფლების დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იძულებითი გადაადგილება განპირობებულია გარდაუვალი აუცილებლობით; მინიმუმამდე შეამციროს გარდაუვალი აუცილებლობით განპირობებული იძულებითი გადაადგილება და ამით გამოწვეული ზიანი;

³⁹ იქვე, მუხლი 7, 1 და 3 პუნქტი - N431, 23/10/2008.

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად“.

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის და სათანადო ნებართვით საქართველოში მყოფი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადასული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის რუსეთის ფედერაციის, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად“.

⁴⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ – N1982-III, 06/02/2014.

⁴¹ იქვე, მუხლი 7 - N 1982-III, 06/02/2014.

უზრუნველყოს, რომ იძულებითი გადაადგილება არ გაგრძელდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს⁴². საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს⁴³. იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად კი ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება⁴⁴.

კანონი ასევე აღიარებს დევნილის ოჯახის ერთიანობის პატივისცემისა და სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებებს და ამბობს, რომ „ყველა დევნილს აქვს ოჯახის ერთიანობის პატივისცემის უფლება. დაუშვებელია ოჯახის ხელოვნურად დაყოფა ან ოჯახების გაერთიანება მისი (მათი) წევრების ნების საწინააღმდეგოდ“⁴⁵.

აღნიშნულ კანონში ცალკე მუხლი ეთმობა საკუთრების უფლების დაცვის საკითხებს დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, კერძოდ:

- სახელმწიფო აღიარებს დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დატოვებული უძრავი ქონების რესტიტუციის უფლებას, რომელიც მემკვიდრეობით გადადის;
- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა დევნილის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუხდა კანონში აღნიშნული მიზეზის გამო, დაცული იქნეს ძარცვის, განადგურების, თვითნებური და სხვაგვარი უკანონო გამოყენებისა და მითვისებისაგან;
- კანონში აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ, როდესაც დევნილი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნდება, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა დევნილის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუხდა, კანონიერ მესაკუთრესა და მფლობელს დაუბრუნდეს.

ზემოთ აღნიშნული უფლებები ნარჩუნდება დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შემთხვევაშიც⁴⁶.

თუ დევნილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ დაბრუნდება მუდმივ საცხოვრებელ

⁴² იქვე, მუხლი 5 - N 1982-III, 06/02/2014.

⁴³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2 – N 1982-III, 06/02/2014.

⁴⁴ იქვე, მუხლი 6, 1 პუნქტი - N 1982-III, 06/02/2014.

⁴⁵ იქვე, მუხლი 13, 1 პუნქტი - N 1982-III, 06/02/2014.

⁴⁶ იქვე, მუხლი 15, 1,2,3,4 პუნქტები - N 1982-III, 06/02/2014.

ადგილზე, სამინისტრო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა დევნილს ან მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი საკუთრების დაბრუნების მომენტისთვის არსებული სახით, ამასთანავე, შესაძლებლობის ფარგლებში აღადგენენ დანგრეულ შენობას და უზრუნველყოფენ პირისათვის მის დაბრუნებას⁴⁷.

3.3. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება⁴⁸

პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების შექმნის მიზნით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესი.

დამტკიცებული წესის შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურები, უძრავ ქონებაზე საკუთრების აღიარების მიზნით; უძრავი ქონების წინასწარ რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურს;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წინასწარი რეგისტრაციის განხორციელების შემდგომ გასცემს ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რომელიც არის წინასწარი რეგისტრაციის განხორციელების დამადასტურებელი საბუთი. ამასთან, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაცია არის აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. სამწუხაროდ ამ დროისათვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უძრავ ქონებაზე არ არის განხორციელებული არც ერთი წინასწარი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში⁴⁹. თუმცადა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამჟამად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უძრავ ქონებებთან დაკავშირებით დეკლარაცია შევსებულია 68 058 ოჯახის მიერ⁵⁰.

⁴⁷ იქვე, მუხლი 18, პუნქტი 2 „გ“ ქვეპუნქტი - N 1982-III, 06/02/2014.

⁴⁸ N326, 21/06/2011.

⁴⁹ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 09/12/2014 წლის N257125 წერილი.

⁵⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 10/12/2014 წლის N06-06/35231წერილი.

3.4. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება⁵¹

მთავრობის დადგენილებით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები. დადგენილების პრეამბულაში ნათქვამია, რომ „საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს თავის მოქალაქეებად მიიჩნევს; შესაბამისად, თავის კონსტიტუციურ მოვალეობად თვლის, ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის ყველა სარგებელი, რომლებითაც გარანტირებულია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე“⁵². აღნიშნული მიზნის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“, რომლებიც მიმართულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. მათთვის და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისთვის გარანტირებული უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფისაკენ, გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების აღდგენისაკენ.

დადგენილების შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, საქმიანობის წარმართვისათვის თანხმობის მიცემის გამარტივებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით დადგინდა წესები⁵³, რომლითაც რეგულირებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- საერთაშორისო და პროექტების განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების წარმართვისათვის შეტყობინება უნდა გაუგზავნონ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს. ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში საერთაშორისო ორგანიზაციებს უფლება აქვთ განახორციელონ გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ზემოთქმული შეტყობინების გარეშე, თუმცა შეტყობინების ვალდებულება ძალაში რჩება გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების განხორციელების შემდეგ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში;
- საერთაშორისო და პროექტების განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული საქმიანობის განსახორციელებლად, საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას საქართველოს მთავრობასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, პროექტის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს; პროექტების განმახორციელებელმა პარტნიორმა ორგანიზაციამ უნდა შეავსოს გათვალისწინებული სანოტიფიკაციო ფორმა და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განსახილველად წარადგინოს განსახორციელებელი საქმიანობის პროექტის აღ-

⁵¹ N320, 15/10/2010.

⁵² მუხლი 1 (პრეამბულა) - N320, 15/10/2010.

⁵³ მუხლი 4 - N320, 15/10/2010.

წერილობა და საქართველოში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეესტრში რეგისტრაციის ამონაწერი;

- პროექტის განმახორციელებელ პარტნიორს პროექტის აღწერილობა შეუძლია წარადგინოს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში დონორ(ებ)თან ერთობლივად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადგილობრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოკლებულია საშუალებას, დარეგისტრირდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დონორზე გადადის რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეტყობინებისა და პროექტის აღწერილობის წარდგენის ვალდებულება.

მიღებული ინფორმაციისა და განაცხადების საფუძველზე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 21 სამუშაო დღის განმავლობაში გამოთქვამს შენიშვნებს წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით ან გამოთქვამს თანხმობას პროექტის განხორციელებაზე, რომელიც ფორმდება ბრძანებით. ამასთან, პროექტის განხორციელებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუკი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება ლიცენზია ან/და ნებართვა, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ხელი უნდა შეუწყოს მას აღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

დადგენილების თანახმად ორგანიზაცია, რომელიც განხორციელებს საქმიანობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვალდებულია, ექვს თვეში ერთხელ წარადგინოს ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

3.5. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემისა და აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება⁵⁴

დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აკრძალული საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობა გაიცემა განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამისი მინისტრის ბრძანებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის ან ჰუმანიტარულ მიზნებს. დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული თანხმობა გაიცემა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღსანიშნავია, რომ დადგენილების შესაბამისად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ

⁵⁴ N219, 12/11/2008.

ტერიტორიებზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის შესახებ სპეციალურ ნებართვას გაცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

5. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად მიუთითებს საქართველოს ქვეყნის მცდელობაზე, რომ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს, როგორც დევნილთა, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივად მცხოვრები პირების უფლებების აღიარება და დაცვა. ამ მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე როგორც საქართველოს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე აღიარებულია ადამიანის ისეთი უფლებები, როგორც არის - თავისუფალი გადაადგილების, სიცოცხლის, ღირსების, უსაფრთხოების; საკუთრების და სხვა უფლებები. კანონმდებლობით თითოეული დევნილისათვის უზრუნველყოფილია ასევე, რესტიტუციის უფლება. უფრო მეტიც ასეთი უფლება გადადის მემკვიდრეობით.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი უფლებები საკანონმდებლო დონეზე აღიარებულია, მისი დაცვა რეალურად ვერ ხერხდება არსებული ოკუპაციის პირობებში, რაც თავის მხრივ უფლებადარღვეულ პირს წარმოუშობს უფლებამოსილებას რუსეთის, როგორც ოკუპანტის წინააღმდეგ გამოიყენოს საერთაშორისო მექანიზმები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვის გზით მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა.

და ბოლოს, ვფიქრობ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა მოგვარდეს ძირეული პრობლემა და შეწყდეს ოკუპაცია, რასაც აუცილებლად მოყვება შესაძლებლობა იმისა, რომ საქართველოს ქვეყანამ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის - დღესდღეობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ – N431, 23/10/2008;
2. საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ – N1982-III, 06/02/2014;
3. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N320, 15/10/2010;
4. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემისა და აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N219, 12/11/2008;
5. სონლულაშვილი ა. – „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! - თბილისი 2009;
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში 2009-2012 წწ. http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=92&info_id=1033 ;
7. Sally Falk Moore, 2005, LAW AND ANTHROPOLOGY a reader, by Blackwell Publishing ltd. ISBN 1-4051-0227-6
http://books.google.ge/books?id=ZE31NmBl8B8C&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false .

რეზიუმე

სტატიის ძირითად მიზანს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამართლებრივი და უფლებრივი მდგომარეობის განხილვა წარმოადგენს. მიზნიდან გამომდინარე სტატიაში მიმოხილულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოცემული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებს.

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას გათვალისწინებული
სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის სახეები

სოფიო ბერიანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

1. შესავალი

ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, პირდაპირ ეთერში დებატებისა თუ სხვაგვარი გადაცემების დროს ხშირია შემთხვევები, როცა დიალოგი გადაზრდილა კამათში, სიტყვიერ დაპირისპირებაში, რიგ შემთხვევებში შეურაცხყოფაშიც. მსგავს სიტუაციაში დაპირისპირებული მხარეები ცდილობენ მეტი „კონტარგუმენტი“ დაუპირისპირონ მოწინააღმდეგეს, რამაც შესაძლოა ცილისწამების⁵⁵ სახე მიიღოს. ასევე, არის შემთხვევები, როცა ერთი მხარე საუბრობს გარკვეულ გარემოებებზე, მაგალითად კანონდარღვევაზე, ხოლო აღნიშნული მეორე მხარის მიერ აღიქმება როგორც შეურაცხყოფა, ცილისწამება. მსგავს შემთხვევებში, ყოველთვის არის მხარე, რომელიც აკეთებს კონკრეტულ განცხადებას და ამ განცხადების ადრესატი მხარე, რომელიც აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, რითაც მას ელახება პატივი, ღირსება ან/და საქმიანი რეპუტაცია.

პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, მსგავსად სხვა პირადი-არაქონებრივი უფლებებისა მოკლებულნი არიან მატერიალურ შინაარსს და განუყოფელნი არიან პიროვნებისაგან, შეუძლებელია მათი სხვისთვის გადაცემა. ხსენებული უფლებები პირის პირად, ინტიმურ სფეროს განეკუთვნებიან. ამ უფლებათა ხელყოფა უფლებების მქონე პირის მიერ განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქმება ვინაიდან, ასეთი ქმედებით შინაგან, სულიერ სამყაროში ხორციელდება ნეგატიური ზემოქმედება, ხდება პიროვნების შინაგანი სიმშვიდის და წონასწორობის დარღვევა. შესაბამისად, როდესაც ხდება ამ სფეროში უხეში ჩარევა – უფლებათა ხელყოფა, დაინტერესებული პირი ცდილობს საკუთარი „მე“-ს, პირადი უფლებების დასაცავს. ასეთ შემთხვევაში ხშირად ვრცელდება საპასუხო ინფორმაცია, ან/და მხარე, რომელიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და მიიჩნევს, რომ მას შეელახა პატივი, ღირსება ან/და საქმიანი რეპუტაცია აღნიშნავს, რომ ამ უფლებათა დასაცავად მიმართავს სასამართლოს, რის შემდეგაც მოწინააღმდეგემ „უნდა მოიხადოს ბოდიში“, „გადაიხადოს კომპენსაცია“ და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობამ განაპირობა საკითხის აქტუალობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შესწავლილ და განხილულ იქნას თუ როგორია ხსენებული პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვისას გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვისა და პასუხისმგებლობის სახეები. საინტერესოა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

⁵⁵„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

შესაძლებელი არის თუ არა მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს მეშვეობით იძულებული გავხადოთ მოიხადოს ბოდიში, ანაზღაუროს ქონებრივი თუ მორალური ზიანი და ზოგადად, რა შესაძლებლობები არსებობს ხსენებულ უფლებათა დასაცავად. წინამდებარე სტატიაში სწორედ აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ და შევეცდებით დეტალურად წარმოვაჩინოთ ის საშუალებები, რომლებიც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, მათი დაცვის ქმედით შესაძლებლობას იძლევა.

2. უფლებათა შელახვისთვის გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვისა და პასუხისმგებლობის სახეები

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს პირისთვის მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის ქმედითი საშუალებებით უზრუნველყოფა. აღნიშნული გულისხმობს როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობას, ასევე პრაქტიკაში მის სწორ გამოყენებას. პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტები ხდებიან იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი შემლახველი ცნობების გავრცელება, გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება და იგი ზიანის მიმყენებელია.

„ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა პირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რათა ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს“.⁵⁶

პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვის ქმედით სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) მე-18 მუხლი, რომლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ პირს უფლება აქვს სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს მეშვეობით განახორციელოს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა. ხსენებული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, რომ ეს უფლებები სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტები ხდებიან მას შემდეგ, რაც მოხდება მათი ხელყოფა. გარდა აღნიშნული ნორმისა, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს „მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისფულების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.“⁵⁷

ა. გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა ან/და შესწორება

პირს, რომელმაც გაავრცელა სადავო განცხადება საკუთარი სურვილით შეუძლია შემდგომ უარყოს ან/და შეასწოროს მისივე განცხადება. თუმცა თუ იგი არ გამოიჩინოს ამგვარ „კეთილ ნებას“, მაშინ სსკ მე-18 მუხლი არის ის სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი, რომლის ძალითაც უფლება შელახულ პირს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით დაიცვას საკუთარი უფლებები. შესაბამისად, უარყოფა ან/და შესწორება წარმოადგენს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის როგორც სასამართლო, ისე არასამართლო საშუალებას.

⁵⁶თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2ბ/696-13, 25.06.2013წ.

⁵⁷საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-677-638-2011, 24.09.2012წ.

სსკ მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ თუ პირის პატივის, ღირსებისა ან/და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფა მოხდეს იმავე საშუალებებით. მაგალითად, თუ ასეთი ცნობები გავრცელდა კონკრეტული ტელეკომპანიის ეთერში ან კონკრეტულ გაზეთში, მაშინ მათი უარყოფელი განცხადებაც უნდა გავცელებდეს შესაბამისად იმავე ტელეკომპანიის ეთერით ან გაზეთით. „სასამართლოს არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ამგვარი ცნობების სხვა გაზეთში გამოქვეყნების დავალდებულების შესახებ“.⁵⁸

სსკ მე-18 მუხლი შესწორებას, როგორც შელახულ პირად-არაქონებრივ უფლებათა დაცვის სახეს არ ითვალისწინებს. თუმცა, ვინაიდან საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ქონებრივი ან/და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობად განიხილავს ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის კანონით დადგენილ ვადაში უარყოფის ან შესწორების არასაკმარისობას, სავარაუდოა, რომ შესწორებაც წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ საშუალებას ხსენებული უფლებების დაცვისათვის. ამ შემთხვევაში კი გაურკვეველია თუ რას გულისხმობს კანონმდებელი „კანონით დადგენილ ვადაში“. ვინაიდან არც თავად საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და არც სამოქალაქო კოდექსი ასეთ ვადას არ ითვალისწინებს. ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება განხორციელდეს ცვლილება და ან განისაზღვროს შესაბამისი ვადა, ან ხსენებული მუხლიდან ამოღებულ იქნას აღნიშნული ჩანაწერი.

ბ. სინამდვილის შეუსაბამო მონაცემების შემცველი საბუთის შეცვლა

სსკ მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ხსენებულ უფლებათა ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შემლახველი ცნობების შემცველი დოკუმენტის შეცვლა. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი შეიცავს პირის პატივის, ღირსების ან/და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს, სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელია ორგანიზაციას დაევალოს ამ საბუთის შეცვლა. ამასთან, ორგანიზაცია ასევე ვალდებული ხდება აღნიშნულის შესახებ აცნობოს დაინტერესებულ პირებს.

გ. შეპასუხება

შეპასუხება, როგორც ხსენებულ პირად-არაქონებრივ უფლებათა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სახე არ არის სასამართლოსეული დაცვის საშუალება. არამედ კანონი პირს აძლევს შესაძლებლობას შელახულ უფლებათა დასაცავად პირდაპირ გამოიყენოს შეპასუხება (საპასუხო ცნობების გავრცელება) და არ ელოდოს დავის წარმოებას სასამართლოში.

სსკ მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საპასუხო ცნობების გავრცელება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ პირის პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში. საქმიანი რეპუტაციის შელახვისას შეპასუხების სამართლებრივი საფუძველი

⁵⁸ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997წ. გვ. 203.

არ არსებობს. ამასთან, თუ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კანონმდებელი იძლევა შესაძლებლობას, რომ უფლებამწიკვალმა პირმა მოახდინოს საპასუხო ცნობების ინფორმაციის იმავე საშუალებებში გამოქვეყნება.

დ. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

ხელყოფის შემთხვევაში პატივი, ღირსება ან/და საქმიანი რეპუტაცია სამოქალაქო სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება უფლებათა დარღვევას ბრალეული მოქმედებით, დარღვეული უფლების მქონე პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. თუ ხელმოყოფს მისი მოქმედების შედეგად წარმოექმნა გარკვეული სახის მოგება, მაშინ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ამ მოგების სახით.⁵⁹

გარდა სსკ მე-18 მუხლისა, ხსენებული პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლად ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხის მიერ კანონით დადგენილ ვადაში განხორციელებული შესწორება ან უარყოფა არ არის საკმარისი ცილის წამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული ქონებრივი ან/და მორალური ზიანის ანაზღაურება. როგორც ვხედავთ, კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს არა როგორც დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ იგი დამოკიდებულია მოპასუხის მიერ შესწორების ან/და უარყოფის შედეგებზე. უფლება შელახულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ გავრცელებული ცნობის შესწორება ან/და უარყოფა არ არის საკმარისი მიღებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „კასატორები საკასაციო საჩივარში არ უთითებენ და არ ამახვილებენ ყურადღებას ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხეებისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ცნობების საჯაროდ უარყოფა არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის.“⁶⁰

უარყოფა ან/და შესწორების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ისინი წარმოადგენენ შელახულ უფლებათა დაცვის როგორც არასასამართლო ისე სასამართლო საშუალებას. შესაბამისად, ქონებრივი ან/და მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობად განსაზღვრული უარყოფა ან/და შესწორება შესაძლოა განხორციელდეს როგორც თავად ცნობების გამავრცელებლის ინიციატივით, ნებაყოფლობით, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ე. მორალური ზიანის ანაზღაურება

⁵⁹საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი.

⁶⁰საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nსს-440-754-09, 03.12.2009წ, მითითებულია ა. ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000–2013), თბილისი, 2014წ. გვ.15.

მსგავსად ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა, პატივის, ღირსების ან/და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში სსკ მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი პირს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. „ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალური ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს.“⁶¹

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამოუკიდებელია ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან. მისი მოთხოვნა შეიძლება როგორც ქონებრივ ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, ისე მის გარეშე.

„კანონმდებელი არ ადგენს იმ კრიტერიუმს, რომლითაც უნდა დადგინდეს მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები. ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ორიგინალობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.“⁶²

„მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი არის მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორცაა, სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ.“⁶³

მსგავსად ქონებრივი ზიანისა, მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს ასევე წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი. ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ზემოთ უკვე განვიხილეთ, მას აღარ შევხებით და მოვიხმობთ მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განმარტებას: „გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას, რადგან ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის კომპენსაციაა, რაც განისაზღვრება არა ეკვივალენტური პრინციპით, არამედ მიმართულია მიყენებული ტანჯვისა და სულიერი განცდების შემსუბუქებაზე... პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფით მიღებული ეფექტი არ უნდა იყოს საკმარისი, რათა მაქსიმალურად შემსუბუქდეს დაზარალებულის სულიერი ტანჯვა თუ განცდა.“⁶⁴

⁶¹საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-1477-1489-2011, 03.04.2012წ.

⁶²თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №28/1476-12, 01.08.2012წ.

⁶³საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-1477-1489-2011, 03.04.2012წ.

⁶⁴საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-440-754-09, 03.12.2009წ, მითითებულია ა. ნაჭებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბილისი, 2014წ. გვ.15.

ვ. ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს მოპასუხისათვის ცილისწამებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების დავალდებულების შესაძლებლობას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით. სასამართლოს დადგენილ ფორმაში შესაძლოა იგულისხმებოდეს ცნობის გამოქვეყნებისთვის სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა, კონკრეტული ბეჭდვითი თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება, სადაც უნდა გამოქვეყნდეს ცნობა და სხვა. მაგალითად, საქართველოს სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გადაწყვიტა, რომ „მოპასუხე – შპს „ა. ჰ-ს“ დაევალოს გაზეთ „კ. ქ-ში“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის (სამოქალაქო საქმე N28/1476-12) 2012 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება სრული ფორმით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში“.⁶⁵ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ განსაზღვრა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არა უბრალოდ ცნობის, არამედ მიღებული გადაწყვეტილების მთლიანად, სრული ფორმით გამოქვეყნება. აღნიშნულის განსახორციელებლად კი დაადგინა ერთი თვის ვადა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმა სასამართლოს შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება და დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

ზ. ბოდიშის მოხდის დავალდებულება?

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხშირია შემთხვევები, როცა მხარე, რომელიც მიიჩნევს, რომ გავრცელებული განცხადებით შეილახა მისი პატივი, ღირსება ან/და საქმიანი რეპუტაცია განცხადების გამავრცელებელს ამცნობს, რომ სასამართლოს მეშვეობით დაიცავს საკუთარ უფლებებს და მოწინააღმდეგე მხარეს „ემუქრება“, რომ ამ უკანასკნელს მოუწევს ბოდიშის მოხდა. ასეთი განცხადება საზოგადოების მხრიდან აღიქმება იმგავარდ, თითქოს კანონმდებლობა შესაძლებელს ხდიდდეს დავის მოგების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ბოდიშის მოხდის დავალდებულებას. აღნიშნული წარმოშობს უსაფუძვლო მოლოდინს, ვინაიდან ასეთ შესაძლებლობას კანონი არათუ არ ითვალისწინებს, არამედ დაუშვებლადაც მიიჩნევს. კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოპასუხის იძულება, რათა მან მოიხადოს ბოდიში, დაუშვებელია.

3. დასკვნა

როგორც ვნახეთ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსთან ერთად, წარმოადგენს 2004 წელს მიღებული სპეციალური კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ორივე აქტი შეიცავს ნორმებს ამ უფლებათა დაცვის სახეების შესახებ. ამიტომ, ამ ტიპის დავებზე

⁶⁵თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N28/1476-12, 01.08.2012წ.

გამოყენებულ უნდა იქნას როგორც სამოქალაქო კოდექსის, ისე სპეციალური კანონის შესაბამისი ნორმები.

ვეცადე სტატიაში განმეხილა ყველა ის შესაძლებლობა, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს პატივის, ღირსების ან/და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისგან დასაცავად: უარყოფა ან/და შესწორება, საბუთის შეცვლა, შეპასუხება, სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება. ასევე, აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად პირადი-არაქონებრივი უფლებების არამატერიალური ხასიათისა, მათი ხელყოფის შემთხვევაში შესაძლებელია არა მხოლოდ ქონებრივი ზიანის, არამედ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ეს ორი მოთხოვნა შეიძლება დაყენებულ იქნას როგორც ერთდროულად, ისე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა მხარეები (მათ შორის იურისტები) ერთმანეთს „ემუქრებიან“ ბოდიშის მოხდის ვალდებულებით, როგორც ვნახეთ, ბოდიშის მოხდის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არათუ არ ითვალისწინებს, არამედ დაუშვებლად მიიჩნევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სტატიაში განხილული საკითხები საინტერესო და სასარგებლო იქნება პრაქტიკოსი იურისტებისთვის. ასევე, ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული სტატია გაზრდის ინტერესს ხსენებული საკითხების უფრო ღრმად შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ.;
2. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 2004წ.;
3. ა. ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000–2013), თბილისი, 2014წ. ;
4. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997წ.;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002წ.;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N28/1476–12, 01.08.2012წ.;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N28/696–13, 25.06.2013წ.;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას–677–638–2011, 24.09.2012წ.;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას–1477–1489–2011, 03.04.2012წ.

რეზიუმე

სტატიაში – „პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის სახეები“ განხილულია სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ხსენებულ უფლებათა დაცვის სამართლებრივი საფუძვლები და სახეები. შეძლებისდაგვარად შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა და დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია უფლებათა დაცვის თითოეული სახის შესახებ. შესაბამისად, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე

ვიმედოვნებ, რომ სტატია საინტერესო იქნება არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ
ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება

ნინო გომბეთელიანი
სამართლის ბაკალავრი

დავით გალდავა
სამართლის ბაკალავრი

1. შესავალი

თანამედროვე საკორპორაციო სამართალი მეწარმე სუბიექტებისგან ასხვავებს ფუნქციონალური და გაერთიანების სპეციფიკური ხასიათის მიხედვით.⁶⁶ ამ ნიშნებით დიფერენცირების შედეგად იკვეთება ორი ტიპის გაერთიანება - ამხანაგური და კაპიტალური საზოგადოება.⁶⁷

წინამდებარე სტატია ეხება კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს, მოკლედ მიმოიხილავს საწესდებო კაპიტალის განვითარების ისტორიას და მის ფუნქციას, აგრეთვე გთავაზობთ კაპიტალთან დაკავშირებული საკითხების ქართული კანონმდებლობით შემოთავაზებული⁶⁸ მოწესრიგების შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, მეტწილად გერმანულ კანონმდებლობასთან მიმართებით.

სტატია საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის, რადგან იგი ბევრ ინფორმაციულ და ანალიტიკურ საკითხს ეხება. იგი შესრულებულია შედარებითი და სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რომელთაგან თითოეული ემსახურება საკითხის ფართო კონტექსტში დანახვას. კერძოდ, შედარებითი ანალიზის შედეგად მოხდება საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებული და ქართული კანონმდებლობით შემოთავაზებული მიდგომების გაანალიზება, ხოლო სისტემური ანალიზის საშუალებით კაპიტალს განვიხილავთ არა როგორც განყენებულ ცნებას, არამედ ერთი დიდი სისტემის განუყოფელ ნაწილს.

2. ისტორიული ექსკურსი

⁶⁶ „ფუნქციონალური გულისხმობს არსებითად ერთი და იმავე მიზნის (მოგების, სარგებლის) სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მიღებას, ხოლო გაერთიანებათა სპეციფიკური ხასიათი მოიაზრებს თუ რა მიმართებაა პირთა შორის, სახეზეა პერსონიფიცირებული გაერთიანება თუ პირთა ურთიერთდამოკიდებულება-კაპიტალის გაერთიანება“ - გ. მახარობლიშვილი მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ 99-100.

⁶⁷ გ. მახარობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ 99-100.

⁶⁸ საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 45-ე მუხლი.

კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი გერმანულენოვანი ქვეყნების სამართლის ტრადიციული ინსტიტუტია.⁶⁹ ქართულ კანონმდებლობაში ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები მცირე დროის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა⁷⁰, თუმცა გარდატეხა მოხდა 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შედეგად. შესაბამისად, ქართული საკორპორაციო სამართლის ისტორია იყოფა ორ დიდ ეპოქად, ეს არის კანონის მიღებიდან 2008 წლის 14 მარტამდე და 2008 წლის 14 მარტიდან დღემდე.⁷¹

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი თავისი წყობით ავსტრიული და გერმანული სამართლის ნორმათა ერთობას წარმოადგენდა⁷². ამ ნორმების რეცეფციით განისაზღვრა ფრთხილი დამოკიდებულება საზოგადოებათა კაპიტალის მომწესრიგებელ საკანონმდებლო ნორმებთან,⁷³ თუმცა 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შედეგად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. კანონის ნორმების ლიბერალიზაცია მაქსიმალურად ვლინდება კაპიტალური ტიპის საზოგადოებების მოწესრიგების შემთხვევაში⁷⁴. რეფორმის შედეგად კანონმა გეზი ამერიკული საკორპორაციო სამართლისკენ აიღო და მის მსგავსად ქართულმა სამართალმაც გააუქმა მინიმალური სავალდებულო კანონისმიერი საწესდებო კაპიტალი და ისევე, როგორც ამერიკაში, საქართველოშიც შესაძლებელი გახდა საზოგადოების დაფუძნება ნებისმიერი ოდენობის კაპიტალით.⁷⁵

საქართველოს “მეწარმეთა შესახებ” კანონის 45-ე მუხლის დებულება იმგვარადაა ფორმირებული, რომ მსჯელობის საგნად იქცა საკითხი გაუქმდა საწესდებო კაპიტალი თუ მხოლოდ მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალი. ცხადია, რომ ცვლილება შეეხო ამ უკანასკნელს⁷⁶, რადგან რეფორმის მთავარი მიზანი კაპიტალის განსაზღვრის ნორმის მაქსიმალური ლიბერალიზაცია გახლდათ და არა კაპიტალური ტიპის საზოგადოების ფორმის შეცვლა.ამავე აზრს განამტკიცებს ისიც, რომ ამერიკული საკორპორაციო სამართლისათვის, მართალია, მინიმალური კანონისმიერი სავალდებულო კაპიტალი

⁶⁹ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2009, გვ. 210.

⁷⁰ი. ბურდული, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა); რომან შენგელიას საიუბილეო კრებული - სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2012; გვ. 225.

⁷¹იქვე.

⁷²ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2005, გვ. 199.

⁷³ი. ბურდული, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა); რომან შენგელიას საიუბილეო კრებული - სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2012; გვ. 227.

⁷⁴„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები. გვ. 52.

⁷⁵ი. ბურდული, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა); რომან შენგელიას საიუბილეო კრებული - სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2012; გვ. 227.

⁷⁶ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2009, გვ. 210.

უცხოა, თუმცა ის უდიდეს ყურადღებას უთმობს კაპიტალთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.⁷⁷

საბოლოო ჯამში, რეფორმის⁷⁸ შედეგად ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრდა კაპიტალური ტიპის ისეთი საზოგადოება, რომელიც სახელმწიკრულებო ავტონომიის ხარისხით ყველა ლიბერალური მართლწესრიგის მსგავს ან შედარებად „პროდუქტს“ აჭარბებს.⁷⁹ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი რეგულაციის არსებობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსისა და ფუნქციის გათვალისწინებით.

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქცია

საზოგადოების ქონება (ეკონომიკური გაგებით - „საზოგადოების კაპიტალი“) არის საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა⁸⁰. ხოლო საწესდებო კაპიტალი არის კანონით განმტკიცებული და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ქონება, რომელიც აუცილებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებისათვის და რომლის შეტანის ვალდებულებასაც პარტნიორები (აქციონერები) წესდებით კისრულობენ.⁸¹ იგი საწარმოს დაწყებითი კაპიტალის ფორმაა⁸² და საზოგადოების საკუთარი კაპიტალის შექმნის, უმნიშვნელოვანესი წყარო.⁸³

საწესდებო კაპიტალის დეფინიციას კანონში ვერ ვხვდებით, მაგრამ მისი ფუნქციები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ინსტიტუტზე. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე განვიხილავთ საწესდებო კაპიტალის რამდენიმე ძირითად ფუნქციას:

(ა) საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელი ქონების შევსება⁸⁴ - საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 45-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სავალდებულო კაპიტალი, ხოლო მის ოდენობას თავად მხარეების განსაზღვრავენ. ცხადია, ბიზნეს ურთიერთობების წარმოშობაზე დიდ გავლენას ახდენს ქონების არსებობა და ოდენობა. შესაბამისად, ლოგიკურია, საწესდებო კაპიტალით ქონების შევსება, ზოგადად, ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას.⁸⁵

⁷⁷ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010 წელი, გვ. 142.

⁷⁸2008 წლის 14 მარტს განხორციელებული რეფორმა.

⁷⁹ა. ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული N 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 გვ.34.

⁸⁰გოჩა გიორგიძე - საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო სამართალი (II) გამომცემლობა აღმანახი, თბილისი 1999, გვ 35.

⁸¹გოჩა გიორგიძე - საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო სამართალი (II) გამომცემლობა აღმანახი, თბილისი 1999, გვ 34.

⁸²ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010 წელი, გვ. 159.

⁸³ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე - მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 2002 წელი, გვ 267.

⁸⁴ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წელი, გვ.103.

⁸⁵ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010 წელი, გვ. 143.

(ბ) კრედიტორის დაკმაყოფილების უზრუნველყოფა - აქ იგულისხმება პრევენციული დაცვა იმ კრედიტორისა⁸⁶, რომელიც დგას საფრთხის წინაშე, რომ საზოგადოება ვერ მოახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას არარენტაბელური საქმიანობის გამო.⁸⁷ ამ ფუნქციიდან გამომდინარე, შეიძლება იმის თქმა, რომ საწესდებო კაპიტალი, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის მატარებელიცაა⁸⁸.

(გ) ბიზნესის წარმოების განზრახვის ცხადყოფა⁸⁹ - საწესდებო კაპიტალი მნიშვნელოვანია კრედიტორებისათვის, როგორც მინიშნება იმაზე, თუ რა მოცულობის ქონებით დაფუძნდა საზოგადოება და რამდენად პასუხისმგებლობაუნარიანია იგი.⁹⁰ ცხადია, როდესაც პირს ორი საზოგადოება სთავაზობს იდენტურ პირობებს, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს უფრო დიდი საწესდებო კაპიტალი აქვს, ბიზნეს ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ნდობის ელემენტი პირს ამ უკანასკნელის მიმართ წარმოეშობა. ამას განაპირობებს ის, რომ დიდი კაპიტალი მისთვის არის არა მხოლოდ ერთგვარი პასუხისმგებლობის გარანტი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (რაც მოცულია მეორე ფუნქციით), არამედ მინიშნება ბიზნესის წარმოების განზრახვის სერიოზულობაზე.⁹¹

ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, აშკარაა სამეწარმეო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის არსებობის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც კრედიტორის ინტერესების დაცვისთვის, ასევე სტაბილური კომერციული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.⁹²

4. უცხოური კანონმდებლობის მიმოხილვა

უცხოური კანონმდებლობა მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის საკითხთან მიმართებით არაერთგვაროვანია. კაპიტალის ტრადიციული სისტემა გულისხმობს, რომ კაპიტალი სრულად უნდა იქნას გაწერილი და სრულად ან ნაწილობრივ გადახდილი, რათა საზოგადოების რეგისტრაცია მოხერხდეს. ევროპის ქვეყნების უმეტესობა ამ ტრადიციის მიმდევარია, თუმცა საწესდებო კაპიტალს სხვადასხვა ოდენობით განსაზღვრავენ. მაგალითად, საფრანგეთში იგი 7,500 ევროს შეადგენს, ესტონეთისთვის ეს თანხა 2,500 ევროა⁹³, ხოლო შვეიცარიისათვის 20,000 ფრანკი⁹⁴. რაც

⁸⁶ა. ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული N 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 გვ. 36.

⁸⁷ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წელი, გვ.103.

⁸⁸ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010 წელი, გვ. 148.

⁸⁹ An introduction to modern EU company law, Christen Boye Jacobsen RGSL WORKING PAPERS NO. 28 RIGA, 2005 Riga graduate law school; ob. http://www.rgsl.edu.lv/images/stories/publications/Jacobsen_final.pdf [უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2015].

⁹⁰ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წელი. გვ.103.

⁹¹ა. ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული, N 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 გვ.36.

⁹²გოჩა გიორგიძე - საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო სამართალი (II) გამომცემლობა აღმანახი, თბილისი 1999, გვ 38.

⁹³ Estonian Commercial Code, (Riigi Teataja 1995, 26-28, 355), 136. §.

შეეხება გერმანიასა და ავსტრიას, რომელთა კანონმდებლობის რეცეფციის შედეგად შეიქმნა ჩვენი კანონი, მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალი საკმაოდ სოლიდური თანხით განისაზღვრა. კერძოდ, გერმანიაში ეს თანხა 25,000 ევროა⁹⁵, ხოლო ავსტრიაში - 35,000 ევრო⁹⁶.

ტრადიციული სისტემის კრიტიკის შთაგონების წყარო ა.შ.შ-ს გამოცდილებაა, რომლის შტატების უმეტესობისთვის კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური კაპიტალის ინსტიტუტი უცხოა⁹⁷. შტატების უმრავლესობამ შეძლო კაპიტალის ამ მოთხოვნების უპრობლემოდ გაუქმება⁹⁸. მაგალითად, დელავერის შტატმა წლების განმავლობაში წარმატებით მოახერხა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების მიზიდვა ბიზნეს-მეგობრული სამართლის საშუალებით⁹⁹. საკორპორაციო კანონის თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებული იყო მინიმალური საწესდებო კაპიტალი 2,000 ა.შ.შ დოლარის ოდენობით. მოგვიანებით, 1929 წელს, ეს თანხა განახევრდა, საბოლოოდ - 1967 წელს, რევიზიის შედეგად ეს მოთხოვნა სრულად ამოიღეს კანონიდან.¹⁰⁰

სტატიის მიზნებიდან და ქართული საკორპორაციო სამართლის ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე ყურადღება უნდა გამახვილდეს ავსტრიისა და გერმანიის კანონმდებლობაზე.

გერმანიაში „შპს-ის შესახებ“ კანონი 1892 წლიდან მოქმედებს. 2008 წლის 1 ნოემბერს გერმანიაში ძალაში შევიდა ფედერალური კანონი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლის მოდერნიზების და უფლების ბოროტად გამოყენების დაძლევის შესახებ“ ე.წ. MoMiG,¹⁰¹ რომელი რეფორმის უმთავრეს მიზანსაც საზოგადოების დაფუძნების გამარტივება წარმოადგენდა. ხოლო გამარტივების მთავარი წინაპირობა იყო ის, რომ ასეთი საზოგადოების დამფუძნებლებს საქმიანობის დაწყება მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის გარეშე შეეძლოთ¹⁰². ამ რეფორმამ ჩამოაყალიბა ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელთა შორის სხვაობა შინაარსობრივი კუთხით არ არსებობს. ერთის მხრივ, არსებობს საზოგადოება სტანდარტული გაგებით, კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს მინიმალური საწესდებო კაპიტალი 25,000 ევროს ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ შეიქმნა საზოგადოება, რომლის დაფუძნებისთვისაც გერმანელი კანონმდებელი საწესდებო კაპიტალის შევსებას იმპერატიულად აღარ მოითხოვს, თუმცა ასეთ საზოგადოებაში მოგების 25% იქამდე უნდა

⁹⁴Bundesgesetz betreffend die Ergänzung des Schweizerisches Zivilgesetzbuches (Fünfter Teil: Obligationenrecht), Art. 773. B.

⁹⁵Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, 1892. 04. 20.), 5. § (1).

⁹⁶58/1906 Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung), 6. § (1).

⁹⁷ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2009, გვ. 209.

⁹⁸An introduction to modern EU company law, Christen Boye Jacobsen RGS WORKING PAPERS NO.28 RIGA, 2005 Riga graduate law school; იხ. http://www.rgs.edu.lv/images/stories/publications/Jacobsen_final.pdf [გვ. 38.

⁹⁹Lucian Arye Bebchuk & Assaf Hamdani, Vigorous Race or Leisurely Walk: Reconsidering the Competition over Corporate Charters, 112 YALE L.J 553, 533-53 (2002).

¹⁰⁰იქვე. გვ. 13 (ასევე იხ. R.Franklin Ballotti & Jesse A. Finkelstein, Delaware Law of Corporations & Business Organizations § 1.9 (3d ed. 1998 & Supp 2001)).

¹⁰¹ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2009, გვ. 216.

¹⁰²იქვე.

ჩაირიცხოს კანონისმიერ რეზერვში, სანამ თანხა კანონით გათვალისწინებულ კაპიტალს (25,000 ევროს) არ მიაღწევს.¹⁰³ მართალია, გერმანული რეფორმით საგრძნობლად გამარტივდა შპს-ის დაფუძნება, თუმცა კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი აღნიშნული ქვეყნისთვის დავიწყებას არ მიცემია.

ავსტრიული მოდელი გერმანული მოდელის მსგავსია, მათი განვითარება თითქმის თანაბრად მიმდინარეობს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ავსტრია გერმანიის რაიჰის შემადგენელი ნაწილი გახდა და ქვეყანაში გერმანიის 1938 წლის სააქციო კანონი ამოქმედდა, აგრეთვე, 2013 წელი ავსტრიის საკორპორაციო სამართლისათვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან კიდევ ერთხელ გერმანულის მსგავსი მოდელი ამოქმედდა და ჩვეულებრივი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გვერდით გაჩნდა „მსუბუქი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (“GmbH light”). ამ საზოგადოების შექმნის მიზანი ძალიან ჰგავს გერმანიაში განხორციელებული რეფორმის მიზანს - „მსუბუქი“ საზოგადოება სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით.¹⁰⁴ ამ პრივილეგიებს შორის აღსანიშნავია, რომ კაპიტალი განისაზღვრება 10,000 ევროთი მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ შპს-ში საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 35,000 ევროს შეადგენს¹⁰⁵.

5. ქართული კანონმდებლობის ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება

კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებსაც საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გვთავაზობდა მისი შექმნიდან დღემდე, მათი ბუნების მიხედვით შეგვიძლია დავყოთ ორ კატეგორიად: ამკრძალავი (prohibitive) და აღმჭურველი (enabling). სხვაგვარად, მათი დიფერენცირება შეიძლება მყარ და „თვითრეგულირებად“ ნორმებად¹⁰⁶. ამკრძალავი (მყარი) ნორმები შემზღუდველი ბუნებისაა და მკაცრად გაწერს მოთხოვნებს, განსაზღვრავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის სავალდებულო ოდენობას. მეორე მხრივ, დღეს არსებული მოწესრიგება უნდა მივიჩნიოთ აღმჭურველად („თვითრეგულირებადად“), რადგან პირს ანიჭებს თავისუფლებას განსაზღვროს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ნებისმიერი ოდენობით.

შესაძლებელია იარსებოს მესამე კატეგორიის ნორმებმა, რომლებიც შეიცავენ როგორც ამკრძალავ, ისე აღმჭურველ ნიშნებს და მათი ერთგვარი დაბალანსების გამოვლინებაა. უცხოურ ლიტერატურაში მათთან მიმართებით გამოიყენება ტერმინი - self-enforcing (თვითაღსრულებადი). ერთი მხრივ, ისინი გაწერენ კაპიტალის სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, მეორე მხრივ კი პირს ანიჭებენ თავისუფლებას აირჩიოს ამ მიზნის რეალიზების რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთი. სწორედ ასეთ მიდგომას ვხვდებით გერმანულ კანონმდებლობაში.

¹⁰³ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2009 გვ 218.

¹⁰⁴მაგალითად საგადასახადო უპირატესობები.

¹⁰⁵Jarolim Flitsch, Legal Info, ob. http://www.jarolim.at/media/file/166_Legal_Info_English_GmbH_light.pdf [უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2015].

¹⁰⁶გიორგი მახარობლიშვილი, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წელი გვ. 62.

სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს ორი ურთიერთშეპირისპირებული ინტერესი: ინვესტორის დაცვა და დამფუძნებლებისათვის დისკრეციის მინიჭება. ზოგადად, ინვესტორთათვის საზოგადოების ღირებულების მაქსიმიზაცია როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების საკორპორაციო სამართლის უმთავრესი მიზანია. თუმცა, ბალანსი ინვესტორის დაცვასა და დამფუძნებლებისათვის დისკრეციის მინიჭებას შორის, სახელმწიფოს განვითარების დონის მიხედვით განსხვავდება.¹⁰⁷

სახელმწიფოთაშორისი კონკურენცია ახალი საზოგადოებების შექმნისათვის მიმზიდველი გარემოს შეთავაზების კუთხით საგრძნობლად აფერხებს საკორპორაციო სამართლის განვითარებას.¹⁰⁸ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, ხშირად შესაძლოა მოხდეს სამართლის ნორმების რეცეფცია სხვა სახელმწიფოსგან, სადაც ამგვარმა რეგულირებამ უკვე გაამართლა. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები. დაუშვებელია, რომ განვითარებადმა სახელმწიფომ განვითარებულისგან ბრმად გადმოიღოს ნორმები, რადგან, როგორც წესი, ისინი მისადაგებელია მაღალგანვითარებულ ბაზარზე, სამართლისა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე, კულტურულ ნორმებზე, რომელიც შესაძლოა ჯერ არ არსებობდეს განვითარებად სახელმწიფოში¹⁰⁹.

საწესდებო კაპიტალის მაგალითზე¹¹⁰ კარგად ჩანს, რომ რეცეფცია მოხდა ამერიკული სამართლიდან „ბიზნესის გამარტივების“ მიზნით¹¹¹, რისი ხორცშესხმის მცდელობასაც წარმოადგენდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის სრულად გაუქმება. ამ რეფორმის უმთავრესი მიზანი იყო „ბიზნესის გამარტივების“ გზით მეტი კაპიტალის მოზიდვა და სამუშაო ადგილების შექმნა. თუმცა, თუ გადავხედავთ ქართულ მოწესრიგებას, მეტი საწარმოს შექმნა ცალსახად ვერ გამოიწვევს სასურველ შედეგს მეტი კაპიტალის დაბანდებას, სამუშაო ადგილების შექმნას, და ზოგადად, ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას¹¹².

უდავოა, რომ განვითარების დონით ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს აღემატება. ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა მას აძლევს საშუალებას გაზარდოს მხარეთა კერძო ავტონომიის ფარგლები. განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სადაც ეკონომიკური მდგრადობა და კომერციული ბაზარი საკმაოდ სუსტია, განვითარებული ქვეყნის სამართლის ნორმების პირდაპირი რეცეფცია არ უნდა იქნას მიჩნეული მართებულად. აშკარაა, რომ ნორმათა კატეგორიები (ამკრძალავი, თვითაღსრულებადი, აღმჭურველი) მის ადრესატს კერძო ავტონომიას სხვადასხვა ხარისხით ანიჭებს. შესაბამისად, ეს არის ეტაპობრივი განვითარება, ხოლო გადახვიდე

¹⁰⁷A self-enforcing model of corporate law 109 Harvard law review 1911-1982 (1996) http://papers.ssrn.com/paper.taf?abstract_id=10037 გვ. 9 [უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2015].

¹⁰⁸ A self-enforcing model of corporate law 109 Harvard law review 1911-1982 (1996) http://papers.ssrn.com/paper.taf?abstract_id=10037 გვ.59 [უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2015].

¹⁰⁹A self-enforcing model of corporate law 109 Harvard law review 1911-1982 (1996) http://papers.ssrn.com/paper.taf?abstract_id=10037 გვ.1 [უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2015].

¹¹⁰ იგულისხმება ქართული კანონმდებლობა.

¹¹¹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები.

¹¹² ა. ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული N 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, გვ. 35.

ამკრძალავი კატეგორიის ნორმიდან აღმჭურველზე, არ არის მიზანშეწონილი, მით უფრო ისეთი ქვეყნისათვის, რომლის საზოგადოება არ გამოირჩევა მაღალი სამართალშეგნებითა და კულტურით. ზედმეტმა ლიბერალიზმმა შექმნა სამართლებრივი „ქაოსი“ და ბიზნესის განვითარების ნაცვლად ჩვენ მივიღეთ უამრავი კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომელიც არ ფუნქციონირებს და მათი შექმნის ერთ-ერთ მიზეზს, სწორედ დაფუძნების სიმარტივე წარმოადგენდა. გაიზარდა რაოდენობა, თუმცა არ შეცვლილა ხარისხი და ვერ მოხდა უმთავრესი მიზნის რეალიზება.

Self-enforcing (თვითაღსრულებადი) მოდელი გვევლინება ალტერნატიულ მოწესრიგებად, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სავალდებულო საწესდებო კაპიტალს, ამრიგად, არ გამოირიცხავს კანონისმიერი ჩარჩოების არსებობას და ამავედროულად, პირს ანიჭებს თავისუფლებას, აირჩიოს ამ კაპიტალის თავმოყრის რამდენიმე ხერხთაგან ერთ-ერთი და მისთვის ხელსაყრელი.

6. დასკვნა

მინიმალური საწესდებო კაპიტალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია საკორპორაციო სამართალში მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს.

ქართული კანონმდებლობის ისტორიულმა ექსკურსმა ცხადყო ქართველი კანონმდებლის ცვალებადი პოზიცია, ეხელმძღვანელა გერმანული სამართლით თუ - ამერიკულით. საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და სამართალშეგნების გათვალისწინებით აშკარაა, რომ სწორედ გერმანული მოწესრიგების, self-enforcing (თვითაღსრულებადი) მოდელის რეცეფციაა მიზანშეწონილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელი.
2. ესტონეთის სავაჭრო კოდექსი 1995 წელი.
3. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის შემავსებელი ფედერალური კანონი.
4. გერმანიის კანონი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ“.
5. ავსტრიის კანონი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ“.
6. გიორგი მახარობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
7. ირაკლი ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2009.
8. ირაკლი ბურდული, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), რომან შენგელიას საიუბილეო კრებული - სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2012.
9. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
10. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები. თბილისი, 2008.

11. ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010 წელი.
12. აკაკი ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული, გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 2011.
13. გოჩა გიორგიძე, საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ბუნება, სამოქალაქო სამართალი (II), გამომცემლობა აღმანახი, თბილისი 1999.
14. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 2002 წელი.
15. ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წელი.
16. გიორგი მახარობლიშვილი, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წელი.
17. Christen Boye Jacobsen, An introduction to modern EU company law, RGS WORKING PAPERS NO. 28 RIGA, 2005 Riga graduate law school.
18. Lucian AryeBebchuk&Assafhamdani, Vigorous Race or Leisurely Walk: Reconsidering the Competition over Corporate Charters, 2002.
19. R. FranklinBalloti& Jesse A. Finkelstein, Delaware law of Corporations & Business Organizations (3d ed. 1998 &Supp 2001).
20. A self-enforcing model of corporate law 109 Harvard law review 1911-1982 (1996).
21. Jarolim Flitsch, Legal Info.

რეზიუმე

2008 წლის 14 მარტის რეფორმის შედეგად „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ძირითადად შეიცვალა და ქართულმა საკორპორაციო სამართალმა, რომელიც აქამდე მთლიანად გერმანულ-ავსტრიულ სამართალზე იყო ორიენტირებული, გეზი უფრო აშშ-ს კორპორაციული სამართლისკენ აიღო. ნორმები მეტად ლიბერალური გახდა, რაც კაპიტალური ტიპის საზოგადოებებთან მიმართებით განსაკუთრებით შეიმჩნევა. ჩვენს კანონმდებლობაში საწესდებო კაპიტალი საწარმოს რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა. რაც აღნიშნული რეფორმის შედეგად გაუქმდა და მისი ოდენობა მხარეთა ნებას დაექვემდებარა. ადვილი მისახვედრია, რომ რეცეფციის მიზანი „ბიზნესის გამარტივება“ და ამის შედეგად მეტი კაპიტალის დაბანდება. მსჯელობის საგანს წარმოადგენს, არის თუ არა ეს მიზანი მიღწეული და მიზანშეწონილია, თუ არა არჩეული გეზის შენარჩუნება.

ნარკოტიკული დანაშაულის ზოგადი დახასიათება

მაია ტარულიშვილი
სამართლის მაგისტრი

1. შესავალი

ნარკომანია და მასთან დაკავშირებული დანაშაულები, ერთ-ერთი მტკივნეული თემაა, არამარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ბოლო წლებში ნარკომანია განიხილება ისეთ მოვლენად, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობას, არამედ მთელი რიგი ქვეყნებისთვის წარმოადგენს ეროვნული უშიშროებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

"ნარკოტიკი"- ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს გამემებას, გამტერებას ე.ი. ნარკოტიკული საშუალების მიღება იწვევს პირის უგონო მდგომარეობას.

ნარკოტიკული საშუალება მედიცინაში, კერძოდ, ქირურგიაში უძველესი დროიდან გამოიყენება. თანამედროვე მედიცინაში მას იყენებენ თერაპიული მკურნალობის დროსაც, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

ძირითადი ტკივილ გამაყუჩებელი საშუალებაა მორფინის ჯგუფის პრეპარატები (ნარკოტიკული ანალგეტიკები). მათ გარდა, მორფინის ჯგუფს მიეკუთვნება კოდეინი, ომნოპონი, პრომედოლი, ჰალფიუმი და სხვა. ამ ნივთიერებების არაერთგზისი მიღება იწვევს მისდამი ფიზიკურ და ფსიქიკურ შეჩვევას.

ნარკოტიკული საშუალების მიღება ადამიანში იწვევს ეიფორიულ მდგომარეობას, ხოლო თანდათანობით იზრდება ტოლერანტობა ამ ნივთიერებისადმი; უფრო მოგვიანებით კი ვითარდება აბსტინენცია, ანუ ნარკოტიკული შიმშილი (ამ ნივთიერებისადმი ფიზიკური დამოკიდებულება.)¹¹³

2. ნარკოტიკული დანაშაული როგორც საერთაშორისო პრობლემა

ცივილიზაციის განვითარებამ განაპირობა ნარკოტიკული საშუალების უფრო ფართოდ გავრცელება. ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, რომლებიც აქამდე გამოიყენებოდა ცალკეულ რეგიონებში, ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რამაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ერთ-ერთ სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლაც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო საზოგადოებას არაერთხელ დაუდგენია იმ ნივთიერებათა წრე, რომელთა ზრუნვაც ექვემდებარება კონტროლს და რეგულირებას. მისი დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ. ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ.“ გაეროს 1971 წლის კონვენცია

¹¹³ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1 თბ, 2011 გვ 683 .

„ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ," გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოლოგიური საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ," მას დართული აქვს 1 და 2 ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკულ და ფსიქოტროპული ნივთიერების დამზადებისას და ამდენად მათზე საჭიროა კონტროლის დაწესება, 1990 წ აგრეთვე შეიქმნა გაეროს პროგრამა ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო კონტროლის შესახებ.¹¹⁴

აღნიშნული სამართლებრივი აქტების სტრატეგიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა თანმიმდევრულად განახორციელონ ყველა იმ სახის ნარკოტიკების აკრძალვის პოლიტიკა, რომლებიც არ გამოიყენება სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით. იგი ასევე ითვალისწინებს იმ ნარკოტიკების ან სამკურნალო საშუალებების კანონიერ ბრუნვაზე უმკაცრეს კონტროლს, რომლებიც შეიცავენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ფსიქოტროპულ ნივთიერებებს და გამოიყენებიან სამედიცინო ან სამეცნიერო პრაქტიკაში.

საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" (2002 წ. 5 დეკემბერი).

ნარკომანიის მუდმივმა პრობლემამ შექმნა ნარკობიზნესის წარმოშობა და მისი სწრაფი გლობალური განვითარება. იგი იქცა ე.წ. სარფიანი შემოსავლის კრიმინალურ წყაროდ. ნარკობიზნესი ერთ–ერთი ყველაზე მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა, შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულში ჩართული პირები საკმაოდ კარგად არიან ორგანიზებულები, დღეისათვის ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა განიხილება, როგორც ტერორიზმის დაფინანსების ერთ–ერთი უმთავრესი წყარო.

ნარკომანიასთან ბრძოლა უპირველესად ნარკობიზნესთან, ანუ ნარკოტიკებთან დაკავშირებით უკანონო ოპერაციებთან ბრძოლას გულისხმობს. ნარკობიზნესი–ნარკოსაქმიანობა–ნარკოტიკებთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ნარკოტიკული დანაშაულია. ასეა გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (თავი 33).

ნარკობიზნესი ორგანიზებული დანაშაულების სახესხვაობაა, რომელსაც სხვადასხვა დონეზე უერთდება სისხლის სამართლებრივი და ეკონომიკურ დანაშაულთა ცალკეული სახეები. შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ნარკობიზნესის სფეროში წარმოიშობიან ყველაზე მსხვილი ორგანიზაციული დანაშაულებრივი სტრუქტურები და ფუნქციონირებენ სისხლისსამართლებრივ და ეკონომიკურ დანაშაულთა ჩასადენად.¹¹⁵

დღეისათვის ნარკობიზნესის სფეროში სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის დამახასიათებელია შემდეგი ყველაზე ტიპური საზოგადოებრივად საშიში ქმედებები:

1. მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკებისა და აგრეთვე ნარკოტიკების სახეობების უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება;
2. დასამუშავებლად აკრძალული კულტურების დათესვა ან მოყვანა;
3. ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის სამკურნალო პრეპარატების ქურდობა;

¹¹⁴ ზ. ბეროზაშვილი, ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, თბ, 2006, გვ15.

¹¹⁵ ი. ლომსაძე, ნარკობიზნესის ცნებისა და სტრუქტურის შესახებ, „სამართალი“ 2000, #6–7.

4. ნარკოტიკების მოსახმარებლად სპეციალური ადგილების ორგანიზაცია და შენახვა.
5. ნარკოტიკების შესაძენად სამედიცინო რეცეპტების გაყალბება, დამზადება და გასაღება.

ეკონომიკური დამნაშავეობის სფეროში ნარკობიზნესს ახასიათებს შემდეგი სახის ქმედებანი:

1. სამედიცინო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სააფთიაქო დაწესებულებებიდან, ბაზრობიდან, საწყობიდან ნარკოტიკულ საშუალებათა დიდი ოდენობით დატაცება, მითვისებით ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების გზით.
2. ფარული ლაბორატორიების შექმნა სინთეტიკური ნარკოტიკების დასამზადებლად;
3. დანაშაულებრივი ხერხებით მოპოვებული ფულადი სახსრების „გასუფთავება“ მათი ლეგალურ ბიზნესში ჩადების გზით.

ნარკოტიკულ დანაშაულთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა არამართო ერთმანეთისგან იზოლირებული, ცალკე აღებული საზოგადოებრივად საშიში ეპიზოდების ჩადენა, არამედ დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივად, ხანგრძლივად განხორციელება.

აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება არა შემთხვევითი პირების მიერ, არამედ დამნაშავე პროფესიონალების მიერ და ეს საქმიანობა აძლევს მათ ძირითადად არსებობისათვის საჭირო საშუალებებს და გამდიდრების საფუძველია. ეს კი განაპირობებს ჩადენილ დანაშაულთა სახეებისა და ფორმების მრავალფეროვნებას.

ნარკობიზნესის მეორე მნიშვნელოვანი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა მოიცავს დანაშაულებრივ მოქმედებათა მთლიან ჯაჭვს: ნარკოტიკული საშუალებების დამზადებას, შექმნას, შენახვას, დატაცებას, გადაზიდვას, გასაღებას. ამის მიხედვით ნარკობიზნესი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ამასთან დამოუკიდებელი დანაშაულებრივი მოქმედებების მიზნობრივი და დასრულებული სისტემაა.

ნარკობიზნესის მთავარი თვისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეთა მოქმედებები 100%- შემთხვევაში მიმართულია თავისი არაკანონიერი მოღვაწეობის (იქნება ეს ნარკოტიკების შექმნა თუ მათი დამზადება ან გასაღება) სფეროს გაფართოებისათვის.

მესამე ნიშანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, არის კრიმინალისტიკური ფორმების ორგანიზებულობის მაღალი დონე, რაც ხაზს უსვავს მის მომატებულ საზოგადოებრივ საშიშროებას, დაფარულობას და სირთულეს. უკანასკნელ ათასწლეულში ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ შეიძინა ტრანსნაციონალური, გლობალური ხასიათი.¹¹⁶

3. ნარკოდანაშაული და მისი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ნარკობაზრის გაფართოებამ საქართველოშიც გაამწვავა ნარკოსიტუაცია. თავის მხრივ ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების შემთხვევების ზრდა განუყრელად არის დამოკიდებული ნარკოდანაშაულის მატებაზე. მატულობს მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც არასამედიცინო მიზნით - უკანონოდ მოიხმარენ ნარკოტიკებს. იზრდება ნარკოტიკების უკანონო წარმოების მოცულობა. მწვავედ დგას ნარკოტიკების

¹¹⁶ ი. ლომსაძე, ნარკობიზნესის ცნებისა და სტრუქტურის შესახებ, ჟურნალი სამართალი #6-7, გვ91.

კონტრაბანდის პრობლემა, იზრდება საზღვარგარეთიდან ოპიუმის, ჰეროინის, ჰაშიშის, სუბოტექსისა და სხვათა საქართველოში უკანონოდ შემოტანა.

ასეთი მოვლენების გამო საქართველოს კანონმდებლობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნარკოტიკულ დანაშაულს, ასევე გამკაცრებულია პასუხისმგებლობის საკითხიც – სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება ნებისმიერი პირი, რომელსაც უკანონოდ მცირე შეხებაც კი ექნება ნარკოტიკებთან.

ნარკოტიკული დანაშაულის სფერო მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავის 260–274 მუხლებში განხილულ ნარკოტიკულ დანაშაულებს.¹¹⁷

სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავში გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილ წესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ნარკოტიკულ დანაშაულებს მიეკუთვნება:

- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება;
- ფსიქოტროპული ნივთიერების მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება;
- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა;
- საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა;
- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა;
- ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება;
- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა;
- ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება;
- ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება;

¹¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებებით 2015წ) .

- ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა;
- ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაგზავნის, გადაზიდვის ან შემოტანის წესის დარღვევა;
- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა;
- ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება;
- პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მიღება;
- იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება.¹¹⁸

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნარკოტიკული დანაშაულის ახალი შემადგენლობები და მუხლების მთელი რიგი ახალი ნაწილები, სახელდობრ: ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება (მუხლი 260); საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 262); სრულიად ახალია ასევე მუხლი 266 (ფარული ლაბორატორიების შესახებ).

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გაცილებით მკაცრი და დიფერენცირებული მიდგომაა გათვალისწინებული ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა და კულტივირება, (მუხლი 265), წინა 1960 წ. სსკ-ის 253-ე მუხლში, სრულად არ იყო მითითებული ნარკოტიკების შემცველი მცენარეების სახეობები; რაც მოსამართლეებს ბევრ უხერხულობას უქმნიდა კერძოდ; ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას კანაფის 5 სახეობისათვის, მაშინ როდესაც მსოფლიოში 200-მდე სახეობა არსებობს.¹¹⁹

ახალი კანონის სიახლეა, ძველისაგან განსხვავებით, ისიც, რომ ყოველ მუხლში სანქციის განსაზღვრისას დანაშაულის ერთ-ერთ ძირითად მაკვალიფიცირებლად მიჩნეულია უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უდენობა – დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც სავსებით შეესაბამება დღეს არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ კანონმდებელი ზოგიერთი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის აწესებს არამართო თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას ათიდან ოც წლამდე, არამედ უვადო თავისუფლების აღკვეთასაც (მუხლები 260-ე, 262-ე).

¹¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებებით 2015წ).

¹¹⁹ ჯ. ჯანაშია 21-ე საუკუნის გამოწვევა, თბ, 2003, გვ. 475.

4. დასკვნა

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოდანაშაულთან მიმართებაში დამყარებული იყო მკაცრ სასჯელებზე. ნარკოტიკული დანაშაულისათვის მკაცრი სასჯელი უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გატარდეს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლის დასჯადობის საკითხი, რომელიც ვფიქრობ ცალკე განხილვის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - N2287, 22/07/1999.
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნაწ 1, თბ, 2011, გვ. 683.
3. ზ. ბეროზაშვილი, ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, თბ 2006, გვ. 15.
4. ი. ლომსაძე, ნარკოზინესის ცნებისა და სტრუქტურის შესახებ, „ჟურნალი" სამართალი, #6-7.
5. ჯ. ჯანაშია 21-საუკუნის გამოწვევა, თბ, 2003წ, გვ 475.

რეზიუმე

ნარკომანია საქართველოში ერთ-ერთ მთავარ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რასთან ბრძოლაც ბუნებრივია არ არის მარტივი. ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონოდ მომხმარებელთა ზრდის ტემპები შესაბამისად აისახა ნარკოტიკების უკანონოდ შეძენის, შენახვის, გასაღების და ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით უკანონოდ მოხმარების დანაშაულის რაოდენობათა მატებაზე. ყოველდღიურად სახელმწიფო შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს უხდებათ ნარკოტიკული დანაშაულის აღკვეთა, რისი რიცხვიც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის მიხედვით საგრძნობლად იზრდება.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მკაცრი სანქციების დაწესებით ცდილობს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, თუმცა მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებით ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. სახელმწიფოს თანაბრად ევალება ებრძოდეს ნარკოტიკულ დანაშაულს და ნარკომანიას, როგორც დაავადებას.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ
გამოცხადებული ანალიტიკური თემების კონკურს -

„სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“

მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეების საკონკურსო ნამუშევრები

საკონკურსო ნაშრომები თემაზე - „ხალხი და დემოკრატია“

„ხალხი და დემოკრატია“

გიორგი ჯოჯუა
საქართველოს უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი

ადამიანი საზოგადოების განძია. მისი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები და მათი განხორციელება ქვეყნის ძირითად კანონში - კონსტიტუციაშია გარანტირებული. ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციაში განსაზღვრა, ანუ უფლებებისა და მოვალეობების გამოცხადება მისი, როგორც ბიოსოციალური არსების, საერთო საზოგადოებრივი სტატუსის ნაწილია. საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობა სამართლებრივის გარდა, სხვა მრავალი სოციალური ნორმითაც განისაზღვრება. ხალხი არის დემოკრატიული სახელმწიფოს საქმიანობაში მთავარი და უმნიშვნელოვანესი. სწორედ ხალხი ირჩევს თავის მმართველ ხელისუფლებას და ხალხი განსაზღვრავს თუ ვინ უნდა მართოს სახელმწიფო. სახელმწიფო თავის მხრივ იცავს ხალხის საზოგადოების უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაშია გარანტირებული.

დემოკრატია და ხალხი - ამ საკითხზე შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია წარმოუდგენელია ხალხის გარეშე. ხალხი ქმნის და განსაზღვრავს დემოკრაციას. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა და ეს 2012 წლის არჩევნებში ნათლად გამოჩნდა. ხალხმა აირჩია თავისი მმართველი გუნდი, რომელიც დღესდღეობით სახელმწიფოს სათავეში დგას. რაც ყველაზე მთავარი ეს ყველაფერი მოხდა ყოველგვარი გაყალბების გარეშე. რაზე მიგვანიშნებს ეს ყველაფერი? ეს მიგვანიშნებს იმაზე რომ, საქართველო დგას განვითარების მაღალ საფეხურზე.

დემოკრატია მხოლოდ მოქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება, ის მოქალაქის ყოველდღიურ აქტიურობაზეა გამოკიდებული. ეს აქტიურობა ორი მიმართულებით შეიძლება გამოვლინდეს: პირველი, როდესაც მოქალაქე თავისი ინიციატივით მონაწილეობს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში, საკუთარი და თანამოქალაქეთა უფლებების დაცვაში. მეორე, როდესაც მისი აქტიურობა სახელმწიფო მმართველობით პროცესებში თანამონაწილეობით გამოიხატება და საჯარო ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეს ჰქონდეს პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და თანამოქალაქეების წინაშე. მოქალაქე მხოლოდ საკუთარი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილებით არ უნდა იყოს დაინტერესებული, მას უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ საზოგადოებაში საერთო სიკეთის შექმნის საქმეში. საქართველოსათვის, სადაც არ არსებობს სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული საზოგადოების დიდი ტრადიციები, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა. საზოგადოების

დემოკრატიული ცნობიერების ამაღლების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი თაობის სამოქალაქო განათლება.

დემოკრატია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმით არსებობს. ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს და მასვე ანდობს სახელისუფლო უფლებამოსილებების განხორციელებას. წარმომადგენლობით დემოკრატიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხთან მუდმივი კავშირის არსებობას და უშუალო დემოკრატიის ფორმის რეფერენდუმის მეშვეობით. ცნება Governance - პირველად 1989 წელს მსოფლიო ბანკის მიერ იქნა ჩამოყალიბებული. ეს ცნება აქცენტს აკეთებს ერთი მხრივ, იმის შეფასებაზე თუ როგორ არის კონკრეტული ქვეყნის სინამდვილეში თავისუფალი არჩევნები თავისუფალი არჩევნები უზრუნველყოფილი, როგორ არის ხელისუფლება რეალურად დაბალანსებული და კონტროლს დაქვემდებარებული, როგორია მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხი და სხვა. მეორე მხრივ, ის ამ რეალობის გამოსწორების კონკრეტულ ორიენტირებს იძლევა. მსოფლიო ბანკთან ერთად გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებშიც Good governance ცნებამ სახელმწიფო ინსტიტუტების ეკონომიკის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მთავარი ორიენტირის დანიშნულება შეიძინა. სწორედ ამ ცნების ფარგლებში არის შესაძლებელი იმის შეფასება თუ რამდენადაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის უფლებები ოპტიმალურად დაცული და რამდენად აქვს მას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების არჩევის გარდა, სხვა უფრო აქტიური ფორმით სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი. მთლიანობაში Good governance შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთგვარი საზომი, მასშტაბი, რომლითაც სახელმწიფოს მოქალაქის კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისა და მათი ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი უნდა განისაზღვროს. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალურად იმის განცდა, რომ ის სახელმწიფოს წევრია. სახელმწიფო მმართველობაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გააქტიურება საჯარო ადმინისტრაციის ორგანიზაციულ მოწყობასა და მისი მუშაობის კულტურაში მეტი დეცენტრალიზაციის აუცილებლობას ითხოვს. აქედან გამომდინარე საჯარო ადმინისტრაციამ მოქალაქის როლი უფრო აქტიური გახადა და მას სახელმწიფო და ადგილობრივ მმართველობაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მიანიჭა. აუცილებელია მოქალაქეთა ცოდნის და უნარის მობილიზება, მნიშვნელოვანია აქტიურ მოქალაქეების იმ სასწავლო კურსებში ჩართვა, რომელშიც საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომლებიც მონაწილეობენ. როგორც ვხედავთ დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია ხალხის გარეშე. დემოკრატიულობის მთავარი ფაქტორი არის ხალხი. დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარება არის საზოგადოებაზე ხალხზე დამოკიდებული. ხალხი ირჩევს თავისი ქვეყნის მომავალს, სახელმწიფო კი იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის ღირსებასა და პატივს, რომელიც კონსტიტუციაში აქვს გარანტირებული.

ვფიქრობ რომ, ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში. სახელმწიფო ხალხის განვითარებაზე უფრო უნდა ზრუნავდეს, უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში, იმიტომ რომ ხალხი არის მთავარი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში. საზოგადოებაც ასევე ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის განვითარებას და უნდა ცდილობდეს მაქსიმალურად, რომ ქვეყანა დიდი ნაბიჯებით მიდიოდეს პროგრესისაკენ. როდესაც სახელმწიფო და

ხალხი გაერთიანებული იქნება და რაც მთავარია დაბალანსებული, დემოკრატიულობის მაღალ ხარისხზე ვიქნებით და ქვეყანა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იქნება, ვიდრე დღესდღეობით არის.

„ხალხი და დემოკრატია“

თამარ აბულაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ბაკალავრიატის სტუდენტი*

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე თავის აპოლოგიაში აღნიშნავდა, რომ არ არსებობს ათენზე უარესი ქალაქი დედამიწაზე, რის გამოც სიამოვნებით დატოვებდა მას, რომ სხვაგან გადასახლებულიყო, მაგრამ ვაი, რომ არ არსებობს ათენზე უკეთესი ქალაქი დედამიწაზე, რის გამოც არსადაც არ წავიდოდა და მშვიდად დაელოდებოდა აღსასრულს ათენელების ხელიდან... დაახლოებით ამავე აზრს გადმოსცემს უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამიც, რომლის მიხედვით „დემოკრატია ყველაზე საშინელი ფორმაა მმართველობისა, მაგრამ უკეთესი არ არსებობს.“

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ათენი იყო ძველი მსოფლიოს ერთადერთი ქალაქი, სადაც დემოკრატია, როგორც ხალხის მმართველობის ფორმამ, არსებობის სარბიელი ჰპოვა, მაგრამ უდავოა, რომ დემოკრატის ფორმა და შინაარსი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს, რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული პოლიტიკური პროცესია, რომელიც შესაბამის მოქმედებებს მოითხოვს, როგორც ხალხის, ასევე მათ მიერ არჩეული მმართველების მხრიდან. მახსენდება კიდევ ერთი, თანამედროვე ეპოქის გამონათქვამი, რომელიც ამბობს, რომ დემოკრატია იარაღია, რომელსაც, როგორც ყველა იარაღს, თავისი ინსტრუქცია და გამოყენების წესი აქვს. „წესგამცდარი დემოკრატია კი, თუ გავარდა, დიდ ქვეყანასაც კი ახდის თავს.“ მართლაც, დემოკრატია და მისი ზეგავლენა ადამიანებზე გაცილებით ღრმა შინაარსისა და დატვირთვის მატარებელია ვიდრე ამ უკანასკნელის სიტყვასიტყვითი განმარტება, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის და ერთგვარად საკითხთა წრეს კრავს ამ უკანასკნელის ძირითადი მახასიათებლის ხაზგასასმელად. მახასიათებლისა, რომელსაც სახელმწიფო მმართველობის ხალხის მეშვეობით განხორციელება ჰქვია.

დემოკრატის მმართველობის ფორმად ჩამოყალიბებას წინ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესები უძღოდა, რომლის განვითარება, როგორც თანამედროვე დემოკრატისა, მე-17 საუკუნიდან იჩენს თავს, თუმცა ჩემს ნაშრომში არ ვაპირებ განვიხილო მისი ჩამოყალიბების გზა, არამედ, შევეცდები ვისაუბრო დემოკრატისა და ხალხის ურთიერთკავშირის შესახებ, ასევე განვიხილავ მისარსსა და შინაარსს, როგორც ეფექტური მმართველობის ფორმას, რომლის საფუძველიც ადამიანთა თანასწორობა და თავისუფლებაა, სადაც საზოგადოების თითოეულ წევრს საკუთარი ფუნქცია და პასუხისმგებლობა გააჩნია საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. ამასთან, შევეცდები განვიხილო ის ძირითადი პირობები, რაც დემოკრატის, როგორც ხალხის მმართველობას

უნდა აკმაყოფილებდეს და ვიმსჯელებ, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებაში ეფექტური დემოკრატიის ჩამოყალიბება, რასთან მიმართებითაც შევხები, საქართველოში არსებულ ზოგად სურათსაც.

როგორც უკვე აღვნიშნე, დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი საფუძველი ადამიანთა თანასწორობა და თავისუფლებაა. ალბათ სწორედ ამიტომაც, რომ კაცობრიობის ისტორიაში ადამიანებმა ჯერ ვერ მოიფიქრეს დემოკრატიაზე უკეთესი პოლიტიკური რეჟიმი, რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის იმ ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციასა და დაცვას უწყობს ხელს, რომლის გარეშე, ადამიანის, როგორც ავტონომიური არსების ცხოვრება წარმოუდგენელია. თანასწორობა დემოკრატიის არსის გასაგებად უმნიშვნელოვანესია, რადგან სისტემას, სადაც საზოგადოების ძირითადი ინსტიტუტები არათანაბრად ახორციელებენ საზოგადოების წევრების ინტერესების დაწინაურებას, არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან. ასევე ზედმეტია დემოკრატიაზე საუბარი იმგვარ საზოგადოებაში, სადაც არაა დაცული თითოეული ინდივიდის თავისუფლება. როგორც მონტესკიე ამბობდა, დემოკრატია არის ერთადერთი პოლიტიკური რეჟიმი, რომლის მამოძრავებელი სურვილი არის არა დიდება მონარქიული რეჟიმის მსგავსად, არა არისტოკრატიული ღირსება არისტოკრატიული რეჟიმის მსგავსად, არა შიში, როგორც ტირანული რეჟიმისა, არამედ პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც მხოლოდ დადგენილი წესების შესრულების ფარგლებშია შესაძლებელი, სადაც თავისუფლება შიშის გარეშე არსებობს, იმ შიშის გარეშე, რასაც ხელისუფლების თვითნებობის რისკი იძლევა.

ამგვარად, დემოკრატიის ერთ-ერთი მამოძრავებელი მიზანი ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების თვითნებური განხორციელების შეზღუდვაა, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფით მიიღწევა, რადგან ადამიანის უფლებების პატივისცემა და იმის აღიარება, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორი და თავისუფალია, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია.

იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატია ერთგვარი მონაწილეობითი საქმიანობაა, სადაც სახელმწიფო და ინდივიდთა ინტერესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული, მისი წარმატებაც სწორედ იმ ხალხზეა დამოკიდებული, რომლებიც ამ პროცესის მონაწილენი არიან, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, დემოკრატია საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ორმხრივ ურთიერთობას გულისხმობს, ეს კი აქტიური საზოგადოების ხელშეწყობით მიიღწევა. კერძოდ, მიმაჩნია, რომ დემოკრატია, მართალია ხალხის მმართველობაა, მაგრამ ის ვერ იქნება განხორციელებადი, თუ ის ხალხი, ვინც ამგვარი სისტემა აირჩია, არაა აქტიური. დემოკრატიის პირობებში ადამიანები ირჩევენ სახელმწიფო მმართველებს, რომლებსაც ანდობენ მმართველობის სადავეებს, რაც თითქოს სრულად აკმაყოფილებს და ამოწურავს დემოკრატიის სიტყვასიტყვითი განმარტების გაგებას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ფაქტი მხოლოდ ზოგადი ჩარჩო და საწყისი საფეხურია დემოკრატიის არსებობისთვის, რეალურად კი ეს უკანასკნელი აქტიური საზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს. ალბათ ჩნდება კითხვა, თუ რას ვგულისხმობ აქტიური საზოგადოების ცნებაში?

მიმაჩნია, რომ დემოკრატიულ სისტემაში აუცილებელია თითოეულ ადამიანს გააჩნდეს შინაგანი მისწრაფება და ამბიცია, სურვილი იმისა, რომ აკონტროლოს მის მიერ არჩეული მმართველი და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომას დაუშვებს, შეძლოს მისი შეზღუდვა. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უნარი, მუდმივ

კონტროლში ჰყავდეს მთავრობა, რათა ამ უკანასკნელმა ვერ გაბედოს არასწორი გადაწყვეტილების მიღება (რისგანაც არც ერთ სისტემაში დაზღვეული არა ვართ) და ამასთან, ეს ნიშნავს იმასაც, რომ ხალხისაგან მმართველობის განხორციელება არ უნდა მთავრდებოდეს მათ მიერ დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების არჩევასთან, არამედ საზოგადოება უნდა იყოს მუდმივი და განუყოფელი ნაწილი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე მსჯელობისას.

ვფიქრობ, სწორედ ამ საკითხში იჩენს თავს საქართველოში არსებული დემოკრატიის პრობლემაც, რადგან საზოგადოება მთლიანად მიენდობა ხოლმე მის მიერ არჩეული მმართველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უტყუარობას და როგორც წესი, ამ პროცესში, თავად პასიურ როლში ყოფნას ამჯობინებს. მართლაც, როცა ვირჩევთ მმართველს, ვირჩევთ იმ იმედითა და ფიქრით, რომ ის იმდენად პროფესიონალია იმ საქმისა, რასაც სახელმწიფოს მართვა ჰქვია, რომ შეუძლია სწორად მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადო სიკეთებთან მიმართებით და საკუთარ პასუხისმგებლობას - მივიღოთ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა იმაზე, რაც ჩვენც გვცხება, მთლიანად მას გადავულოცავთ ხოლმე, ესკი დიდ შეცდომად მიმაჩნია საზოგადოების მხრიდან, რადგან საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს საკუთარ თავზე აიღოს საერთო სიკეთეზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ტვირთი, რადგან ეს უკანასკნელი თითოეულ ინდივიდზე ახდენს გავლენას და შეუძლებლად მიმაჩნია ადამიანმა კეთილდღეობას მიაღწიოს ისეთი საქმიანობის გავლენით, რომელიც მათი ნების მიღმა ან ზოგჯერ ნების საწინააღმდეგოდაა განვითარებული. მართალია, ხალხის მიერ მმართველის არჩევით, ადამიანები გამოხატავენ ნდობას ამ უკანასკნელის მიმართ, რაც თავის თავში გულისხმობს იმ იდეებისა და შეხედულებების და ასევე სამომავლო გეგმებისადმი თანხმობას, რომლის განხორციელებასაც არჩეული მმართველი აპირებს და ეს ერთგვარად ირიბად სწორედ ადამიანების ნების განხორციელებას ნიშნავს, (ესე იგი, ხალხის უფლება პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაზე მათი არჩეული წარმომადგენლის მიერ ხორციელდება) მაგრამ მიმაჩნია, რომ „ხალხის მმართველობის“ განხორციელებისთვის არაა საკმარისი მხოლოდ მიანდო სხვას სახელმწიფო მმართველობა, რადგან აუცილებელია საზოგადოებამ შეძლოს პირდაპირი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა და პოლიტიკურ ბუნებაზე. მართალია, ანტიკური ბერძენ ფილოსოფოსი, პლატონი კრიტიკულად უდგებოდა გადაწყვეტილებების მრავალი ადამიანის მიერ მიღებას და მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი არ ნიშნავს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები კიდევ, მაგრამ ამგვარი დემოკრატია სრულიად განსხვავებულია დღევანდელი დემოკრატიის გაგებისგან და ხალხის მხრიდან, მათ მიერ თუნდაც დემოკრატიული წესით არჩეული მმართველისთვის სრული პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების დაკისრება, არასწორად მიმაჩნია. ადამიანებმა თავად უნდა შექმნან საკუთარი ცხოვრება იმგვარად, რომ მოახერხონ საკუთარი ინტერესების დაწინაურება სხვის ინტერესების დაცვისა და გათვალისწინების სანაცვლოდ.

ვფიქრობ, იმისთვის, რომ დემოკრატია ეფექტურად იფუნქციონიროს, საჭიროა ადამიანებმა სცადონ თავად წარმართონ თავიანთი ცხოვრების ბედი მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საშუალებით. ასევე საჭიროა სახელმწიფოში არსებობდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რაც შემდგომ საზოგადოების თანსაწორ მონაწილეობას განაპირობებს მმართველობის ირიბად განხორციელებაში. შეუძლებლად

მიმაჩნია, არსებობდეს დემოკრატია მონაწილეობის გარეშე, რადგან მონაწილეობა, საზოგადოებრივდ აპოლიტიკურ პროცესებში, დემოკრატიული სისტემის შექმნის წინაპირობაა. ამ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია უმრავლესობა სადაც უმცირესობას შორის ურთიერთობაც, სადაც პოლიტიკური უმცირესობის აზრი განსაკუთრებით დაცულია. ეს უკანასკნელი კი თავის თავში გულისხმობს უმრავლესობის ვალდებულებას, პატივისცესდა გაითვალისწინოს უმცირესობათა უფლებები და მოთხოვნები. კიდევ ერთი ძირითადი საკითხი, რაც დემოკრატიის არსებობისთვის ერთ-ერთ დამაკმაყოფილებელ პირობად ითვლება, ჯერ კიდევ ჯონლოკისა და მონტესკიეს მიერ განვითარებული თეორიაა ხელისუფლების დანაწილების შესახებ, რომელიც დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევა, რადგან ეს უკანასკნელი სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლს და მათი მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს. ამ ყველაფერთან ერთად, რომლის მიღმა კვლავ უამრავი საკითხი რჩება განსახილველი, დემოკრატიისა და ხალხის ურთიერთკავშირს ადამიანის უფლებების გარანტირება და თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობაც განაპირობებს. თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია გადამწყვეტ როლს თამაშობს დემოკრატიულ სახელმწიფოთა განვითარებაში, რადგან აუცილებელია ადამიანებსა და სახელმწიფოს ერთმანეთთან კომუნიკაცია, რომელიც გამოხატვის თავისუფლებაში ექცევა და მისი, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების გარანტირება, უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის რეალიზაციისათვის.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ ნათელია, რომ დემოკრატია და ხალხი ურთიერთ გადაჯაჭვული ფენომენია, რადგან ხალხის გარეშე ვერ იარსებებს დემოკრატია, ხალხს კი არადემოკრატიულ სისტემაში არსებობისას ყოველთვის გაუჩნდება უკმარისობის გრძნობა, რადგან ეფექტური დემოკრატია ადამიანებს თანასწორობასა და თავისუფლებას სთავაზობს, ამ უკანასკნელის გარეშე კი, როგორც უკვე აღვნიშნე ადამიანი ავტონომიურობას მოკლებულია. დემოკრატია სწორედ ისეთი საზოგადოების ფუძემდებლური ღირებულებაა, რომელიც თანასწორობის, თავისუფლების და სამართლიანობისაკენ მიიღწვის. ამასთან, ეს უკანასკნელი აქტიური საზოგადოების არსებობასაც მოითხოვს, რომელსაც შეუძლია მთავრობა ანგარიშვალდებული ამყოფოს მათი საქმიანობის მიმართ. დემოკრატიის არსი ძალიან ფართოა და ის არა მხოლოდ არჩევნების გზით, თითოეული ადამიანის მიერ გამოხატული აზრის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებას ნიშნავს, არამედ სხვა, მის გარეთ არსებულ სფეროზე ზემოქმედებასაც გულისხმობს, რაც საზოგადოების მხრიდან აქტიური მონაწილეობით გამოიხატება სახელმწიფო მმართველობაში. ესე იგი, დემოკრატია არის პროცესი, რომელშიც საჭიროა მუდმივი კავშირის არსებობა აქტიურ საზოგადოებასა და მმართველებს შორის. სადაც საზოგადოება იქნება ინიციატორი, მაკონტროლებელი და მნიშვნელოვანი ძვრების მოხდენის შესაძლებლობის მქონე. ამასთან, მხოლოდ ორმხრივი გავლენა ადამიანებს შორის არ არის საკმარისი საფუძველი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის. საჭიროა რომ, ინდივიდებს გააჩნდეთ თითქმის თანაბარი ინტერესები იმ საერთო სიკეთეების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელ საკითხებს წარმოადგენს.

საკონკურსო ნაშრომები თემაზე - „რატომ ვირჩევთ ევროპას?“

„რატომ ვირჩევთ ევროპას?“

ანი თოფურია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ბაკალავრიატის სტუდენტი*

სანამ დავიწყებდეთ საუბარს იმის შესახებ თუ რატომ ვირჩევთ ევროპას სამართლიანი იქნება განვსაზღვროთ ევროპის ცნება, ანუ რა ღირებულებებთან ასოცირდება ევროპული ცხოვრება. „ევროპელობა“ აზროვნების, ფასეულობებისა და ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც პირველ რიგში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მოწყობასა და მასში დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში გამოიხატება.

ევროპა გამოირჩევა სიმშვიდით, გარანტიებით, დაცულობით არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსებისგან, თუ საგარეო და საშინაო პოლიტიკისგან. ევროპა არის წესრიგი და ფასეულობები კულტურაში, არქიტექტურაში, ფილოსოფიაში, მუსიკაში, სპორტში. იყო ევროპის ნაწილი ნიშნავს გქონდეს სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, მაგრამ ევროპა არ არის მხოლოდ კარგი ცხოვრება, ის მოუწოდებს ადამიანს უფრო მეტი პასუხისმგებლობისკენ, ვინაიდან ევროპაში დაცულია წესრიგი, არსებობს უბრალო და მარტივი კანონები, რომლებსაც ვერ დაარღვევ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სპეციალურ zombs iReben. ყოველივე ეს კეთდება იმისთვის რომ სამყაროში იყოს მშვიდობიანი ატმოსფერო და ადამიანებს ჰქონდეთ დაცული ცხოვრება. ევროპა არის მიმზიდველი, რადგან განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას ყველა ხვდება ინტერესით. ეს მრავალფეროვნება და განსხვავებულობა არის იმით განპირობებული, რომ ევროპული საზოგადოება წინა პლანზე აყენებს განათლებას, შესაბამისად უფრო მეტი აზრი არსებობს ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

როდესაც ხარ ევროპის ნაწილი უბრალო მოქალაქეს მეტი შანსი აქვს მოგზაურობის, საქმიანი ურთიერთობის წარმოების. ამ დროს საზოგადოება ნაკლებად გამოირჩევა ჩაკეტილობით, ადამიანს აქვს საშუალება გაეცნოს უცხო ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ჩვევებს, შეიძინოს მეტი გამოცდილება, ისე რომ არ დაკარგოს თვითმყოფადობა.

ბევრი ადამიანის წარმოდგენაში ევროპა ეს არის თავისუფალი ქვეყანა, სადაც თავისუფალი ადამიანები ცხოვრობენ, ეს არის ქვეყანა, სადაც თავისუფლად შეგიძლია ბიზნესის წარმოება, სადაც მედია, თავისუფალი სასამართლო არსებობს.

რატომ ვირჩევთ ევროპას? ალბათ, იმიტომ რომ ევროპული ღირებულებები განსაზღვრულია და ეს არის: ადამიანების ღირსება და პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. იმისათვის რომ ვიყოთ ევროპის ნაწილი ეს ღირებულებები უნდა გავიგოთ და შემდეგ ვაღიაროთ.

„რატომ ვირჩევთ ევროპას?“

გიორგი გოგუა

საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

საქართველო მთელი თავისი კულტურული ფასეულობებით, მდიდარი ისტორიული გამოცდილებით, მისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური წიაღისეულებითა და სხვა მრავალი ეთიკური ნიშან-თვისებების ერთობლიობით ქმნის იმ უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს ინტეგრაციას ევროპასთან, გეოგრაფიულ არეალთან, რომელიც ასოცირდება კულტურის, ცივილიზაციის განვითარების და ზოგადად ჰუმანური ფასეულობების მთავარ წყაროსთან.

საქართველოს სწრაფვა ევროპული ოჯახისკენ, ჩვენი ერის ისტორიული არჩევანია. საუკუნეების წინათ ქართველი მეფეები დასავლეთს ერთგვარ მხსნელადაც კი განიხილავდნენ და ამ გზით ცდილობდნენ, რამდენადმე განეიტრალებინათ ის ესპანსიური საფრთხეები, რომელიც მუსლიმანურ რკალში მოქცეულ საქართველოს ემუქრებოდა.

ადრეული ქართულ-ევროპული ურთიერთობების შესახებ ინფორმაციას, მრავალი საარქივო დოკუმენტური მასალები და ნარატიული წყაროებიც გვაწვდიან, მათ შორის შეიძლება დასახელდეს ქართველთა და ჯვაროსანთა სამხედრო თანამშრომლობა, თუნდაც იმ არგუმენტით, რომ დიდგორის ბრძოლაში ასი ფრანგი ჯვაროსანი ღებულობდა მონაწილეობას. მიუხედავად მათი რიცხოვრივი სიმცირისა, ეს გარემოება ხაზს უსვამდა საერთო ინტერესების არსებობას და მეტყველებდა მათ დაახლოებაზე.

შესაბამისად საუკუნეების წინათ თუ საქართველოს ევროპული არჩევანი უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, თანამედროვე ეპოქაში, წარსული გამოცდილების გაანალიზების კვალდაკვალ დაახლოების კიდევ უფრო ფართო ?? გამოიკვეთა.

იმისათვის რომ პასუხი გავცეთ აღნიშნული თემის მთავარ განსახილველ საკითხს – „თუ რატომ ვირჩევთ ევროპას“, აუცილებელია განვმარტოთ, თავად ევროპის არსი, მაშასადამე დავასაბუთოთ თუ რა არის ევროპა.

ევროპა კი, ეს უდიდესი კულტურული სივრცე, ის ფუნდამენტია, რომელზეც დგას თანამედროვე კალიბრული ურთიერთობები.

მისი განვითარების ეტაპები ყოველთვის იყო მაგალითი სხვა არაევროპული დახელმწიფოებისათვის, თუ რა სახის ცვლილებები შეეტანათ თავიანთ სოციალურ-კულტურულ და სხვა სახის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიების შემუშავებაში. და მაინც რა არის ევროპა?! – ევროპა უპირველეს ყოვლისა ესაა: კანონების უზენაესობა, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ეკონომიკური კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის ერთობლიობა, ევროპა ესაა: ანტიკური ფილოსოფია, რენესანსის დიდებული ეპოქა, ფრანგული განმანათლებლობა, ხელოვნება, მხატვრობა, შესანიშნავი ლიტერატურული ქმნილებები.

ევროპა ესაა: პოლიტიკური კულტურა, კანონზე დაფუძნებული სოციალური სისტემები, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გამჭირვალობა, დემოკრატიზმის ერთგულება, რწმენის თავისუფლება, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება.

სახელმწიფოს კი რომელიც მიზნადა ისახავს გახდეს ამ ოჯახის სრულფასოვანი წევრი და მამასადადე დაიცვას ზემოთ აღნიშნული ფასეულობები, ბუნებრივია უნდა იდგეს იმ კულტურულ სიმაღლეზე, რომლიდანაც ნათლად უნდა აცნობიერებდეს, როგორც საკუთრივ თავისს, ასევე ევროპულ ღირებულებებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, როგორც უდიდესი ისტორიის ქვეყანა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვარი გააჩნია, ყველა თვალსაზრისით ადასტურებს, ქართულ-ევროპული სულის იდენტობას.

აი სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, თუ რატომ ვირჩევთ ევროპას.

„რატომ ვირჩევთ ევროპას?“

ვლადიმერ ქინძოძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

რატომ ვირჩევთ ევროპას? კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ რას ნიშნავს ევროპა, რატომ არის საჭირო ზოგადად ამ კითხვის დასმა, რა აქვს ალტერნატივა ქვეყანას და მხოლოდ შემდეგ გავცეთ პასუხი კითხვაზე თუ რატომ.

ევროპა, ეს არის კონტინენტი, რომლის წევრმა ქვეყნებმა გასულ საუკუნეში შექმნეს უმსხვილესი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი, იგივე ევროკავშირი ევროკავშირი არის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი ევროპაში. მისი მიზანია მის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებში კეთილდღეობის, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მისი დადებითი მხარე არის ეკონომიკური ზრდა და საგარეო ვაჭრობა, პოლიტიკური სტაბილურობისა და კანონის უზენაესობის გავრცელება, ადამიანური რესურსების, იდეების, გამოცდილებისა და კულტურის ორმხრივი გაცვლა.

გარდა ამისა ევროპულმა ქვეყნებმა შექმნეს შენგენის ზონა, რომელშიც შედის ევროპის 26 სახელმწიფო. ეს არის ტერიტორია, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტული ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამდესაჭირო ღონისძიებების გატერების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს უვიზო რეჟიმით. უვიზორეჟიმი გულისხმობს, თავისუფალ გადაადგილებას *შენგენის* ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

ევროპული ცხოვრების მაღალ ხარისხზე და მოქალაქეთა კმაყოფილებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პლანეტის 5 ყველაზე ბედნიერიერიდან ხუთივე სწორედ ევროპაში

ცხოვრობს. გაეროს მიერ ჩატარებულ კვლევის მიხედვით, რომლის კრიტერიუმებია სიცოცხლის ხანგრძლივობა, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობა, სოციალური დახმარება, ცხოვრების წესის შერჩევის შესაძლებლობა, კორუფციის დონე და ა.შ. ადგილები ასე გადანაწილდა 1. დანია, 2. ნორვეგია, 3. შვეიცარია, 4. ჰოლანდია, 5. შვედეთი.

ევროპაში საკმაოდ მაღალია სწავლის ხარისხი. ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლია მიიღო ნამდვილად კარგი განათლება და საოცნებო ადგილი მსოფლიო ბევრი ქვეყნის ახალგაზრდისთვის. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებიდან ამერიკის შემდეგ ყველაზე მეტი ევროპაში მდებარეობს. ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის საფასური გაცილებით მცირეა ევროკავშირში და ევროზონაში შემავალი წევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის, არა წევრ ქვეყნებთან შედარებით. ესეც დამატებით ერთ-ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ უნდა შევიდეთ ევროკავშირში. მგონი არავინ დაობს იმაზე რომ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდი პრობლემა განათლებაა. ხოლო დანარჩენი პრობლემები განათლებიდან მომდინარეობს უფრო სწორად გაუნათლებლობიდან ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა კი ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საუკეთესო გზა იქნება.

ისეთი პატარა და მით უფრო რთული გეოგრაფიული მდგომარეობის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტრატეგიული პარტნიორი. საქართველო არ არის, არც რეგიონალური სახელმწიფო და არც ისეთი ძლიერი, რომ საკუთარი საგარეო პოლიტიკა მტკიცედ და ისე აწარმოოს როგორც მას უნდა. მარტივად რომ ვთქვათ, მას ჭირდება მოკავშირე, ვისთვისაც იქნება მნიშვნელოვანი. ექნება მჭიდრო კავშირი, რომელიმე დიდქვეყანასთან, რომლის პროტექტორის ქვეშაც იქნება, ან ისეთ ორგანიზაციასთან, როგორც ევრო კავშირია. საქართველოს შეუძლია იბრძოლოს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის, თუმცა ეს არ იქნება ადვილი და საკმაოდ პესიმისტურათაც ჩანს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი შანსი საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის და პოლიტიკური განვითარებისთვის. საქართველოს აქვს არჩევანი გააკეთოს ყველაფერი იმისათვის რომ გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და ისარგებლოს იმ პრივილეგიებით რითაც ევროკავშირის და შენგენის ზონაში მყოფი ქვეყნები სარგებლობენ.

მეორე მხარეს არის რუსეთი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. რუსეთს დღეის მდგომარეობით ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის 20%. საქართველო 100 წელზე მეტი შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში ხოლო 1918 წელს მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, თუმცა მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების გამო, მალე 1921 წელსვე დაკარგა და ამჯერად 70 წელი მოგვიწია საბჭოთა კავშირში ცხოვრება.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ სამი წლიანი დამოუკიდებლობის გარდა, რომელიც საქართველომ ისევე სწრაფად დაკარგა როგორც მოიპოვა, თითქმის 200 წლის განმავლობაში საქართველო შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში, რამაც საკმაო კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებას და ცხოვრების წესს. სამწუხაროდ ეს ყველაფერი საკმაოდ კარგათ იგრძნობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რუსეთმა ბოლო ომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს დაიწყო და ამ ომში ჩვენი მხრიდან 228 ქართველი დაიღუპა. 200 წლიან ისტორიას რომ თავი დავანებოთ, და წარსულით არ ვილაპარაკოთ, სულ რაღაც 7 წლის წინ განვითარებული მოვლენების

მიმოხილვითაც საკმაოდ ნათლად შეიძლება დავასკვნათ რუსეთის პოლიტიკა და პოლიტიკური სურვილები საქართველოსთან მიმართებაში. რა თქმა უნდა არავის, მით უფრო ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველო არ უნდა პოლიტიკური ვითარების დამაბზვა ისეთ ქვეყანასთან, როგორც რუსეთია მაგარამ ფაქტია რომ ბოლო წლებმა გვაჩვენა ამ ქვეყანასთან დიპლომატიური საუბარი შეუძლებელია და ის საქართველოს მხოლოდ თავის შემადგენლობაში ხედავს.

უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთი რეგიონში არა ნორმალურ ურთიერთობებს, არამედ ექსკლუზიური გავლენის სფეროს მოპოვებას განსაკუთრებული აგრესიულობით ცდილობს. ამ ექსკლუზიური სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი კი საქართველოა. ამ პირობებში კი საქართველოსთვის გამართული და ეფექტური საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, როგორც უსაფრთხოების გარანტიის ერთადერთ საშუალებაზე, დასავლეთის სახელმწიფოების მხარდ ჩართულობასა და მხარდაჭერაზე, გადამწყვეტი ხდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით საკმაოდ მარტივად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოს განვითარებისთვის ერთ-ერთი რეალური გზა გადის ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

თუმცა ჩვენ ქვეყანაში საზოგადოების დიდ ნაწილს სულაც არ უნდა ევროპაში ინტეგრაცია, რაც მეტ წილად გამოწვეული იმით, რომ მათ არ იციან თუ რას ნიშნავს ევროკავშირი. არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თითქოსდა ევროკავშირში საქართველოს წევრობის შემთხვევაში ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება. ევროპული ღირებულებების მქონე პოლიტიკოსებს, არაერთხელ მოუწიათ იმის განმარტება, რომ ევროკავშირი საქართველოს ასეთ მოთხოვნებს არ უყენებს, თუმცა ასეთი მოსაზრებების საქართველოს მოქალაქეებს სჯერათ, ამის მიზეზი კი მხოლოდ ისაა, რომ მოსახლეობას არ აქვს საჭირო ინფორმაცია ევროკავშირის, მისი ფუნქციების საქართველოში მისი როლისა და იმის შესახებ თუ რას მოუტანს ქვეყანას ევროინტეგრაციის პროცესი.

ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს საუკეთესო არჩევანს ეროვნული უსაფრთხოების, დემოკრატიული საზოგადოების, სტაბილურობის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეკონომიკა ნებისმიერი ქვეყნის არსებობის ფუნდამენტია ხოლო ევროკავშირში გაწევრიანება ამ ფუნდამენტის სიმტკიცის გარნატი. ქვეყნის სიმდიერე იზომება იმის მიხედვით თუ რამდენად ძლიერია ქვეყანა ეკონომიკურად, რადგანაც ყველაფერი დამოკიდებულია ეკონომიკაზე განათლების ჯანდაცვის სამხედრო თუ სხვა სახის სფეროების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა ევროკავშირის წევრობა ძალიან პოზიტიური ნაბიჯი იქნება საგარეო ურთიერთობების მხრივაც. თუ საქარველო გახდება ევროკავშირის წევრი, მაშინ აფხაზებისთვის საქართველო შეიძლება იყვეს უფრო მისაღები ვიდრე რუსეთი. და აფხაზებთან განვარძოთ ცხოვრება ისე, როგორც ადრე, სანამ გარეშე ქვეყნის გამოჩენამდე ვცხოვრობდით. ამასთან დაკავშირებით, შარშან 27 ივნისს, ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, პრემიერ-

მინისტრმა სტყვით გამოსვლისას ისაუბრა. მან აფხაზ და ოს ძმებს მიმართა და მათ ევროპასთან დაახლოვების შესაძლებლობა შესთავაზა „თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით რაც ევროპასთან დაახლოებას მოაქვს“ განაცხადა პრემიერმა.

ევროპას ვირჩევთ იმიტომ რომ თავი დავაღწიოთ კონფლიქტებს და ბრძოლას გადარჩენისთვის. თავი დავაღწიოთ ოკუპაციას და საგარეო პოლიტიკაში ჩარევას, დაპყრობის საშიშროებას, რასაც საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს და მუდმივ ჭიდილშია ამ პრობლემებთან. ვირჩევთ იმიტომ, რატომაც საქართველო უხსოვარი დროიდან იბრძოდა მტერზე გამარჯვებისთვის, ეს არის თავისუფლება, უკეთესი ცხოვრება და ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისი ღირებულები. რა თქმა უნდა ევროპისკენ მიმავალი გზა არ იქნება ადვილი, ისევე, როგორც არცერთი პერიოდი საქართველოს ისტორიაში არ იყო ადვილი, მაგრამ რთული არ ნიშნავს შეუძლებელს. თუ ჩვენ შევძლებთ ევროკავშირში გაწევრიანებას, საქართველოსთვის ეს იქნება ისტორიული ეპოქა ეკონომიკური აღმავლობის და მშვიდობიანი გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების და ფაქტორების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ქვეყანას არ აქვს ალტერნატივა აირჩიოს სხვანაირი საგარეო კურსი, ეკონომიკურ თუ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის გარდა ევროპული ინტეგრაციისა. ევროკავშირის სიკეთეები საკმაოა იმისთვის რომ ჩვენ ავირჩიოთ დასავლური კურსი. ევროპის და დასავლური სამყაროს გარეშე, საქართველო პირსპირ აღმოჩნდება იმ ქვეყანასთან, რომლისგანაც თავის დახსნას 200 წელი ვცდილობდით და ახლა ვცდილობთ ის შევინარჩუნოთ რისთვისაც ვიბრძოდით. ყველაფრის ჩამოთვლის და გააანალიზების შემდეგ, ჩემი აზრით, კითხვაზე თუ რატომ ვირჩევთ ევროპას, პასუხი საკმაოდ ნათელია.

„რატომ ვირჩევთ ევროპას?“

სალომე ოღაძე
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
საჯარო მმართველობა და პოლიტიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

დღეს ჩვენი სამშობლო დიდი გამოწვევების წინაშე დგას და ეს გრძელდება საბჭოთა კავშირის სივრცის დატოვებიდან დღემდე. გამოვიარეთ სამოქალაქო ომი, მოხდა ჩვენი ტერიტორიების ანექსია, რამაც ძალიან დიდი დაღი დაასვა ჩვენს საზოგადოებას, თითქოს დავითრგუნეთ და ყველაფრის იმედი დავკარგეთ, მაგრამ, როგორც იტყვიან ცხოვრება გრძელდება. გაგვიმტკიცდა აღქმა, რომ ვართ ევროპელები და გაგვიძლიერდა ევროპულ ოჯახში ცხოვრების სურვილი. წორედ ასეთი მიზანი აკლდა ჩვენს საზოგადოებას, ჯანსაღი და გამოწვევებით სავსე კითხვას-რატომ ევროპა? თითქმი ყოველდღიურად ვაწყდები საზოგადოების სხვადასხვა წრეებში. ევროპა არის ადგილი სადაც არამართო დაცული იქნება ჩვენი უსაფრთხოება, არამედ უკეთ გავიაზრებთ და გავისისხლხორცებთ თანამედროვე ფასეულობებს. განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები,

სრულყოფილი თავდაცვის სისტემა, ხალხზე ორიენტირებული ხელისუფლება, აი ეს არის ევროპა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ისტორიას რომ გადავხედოთ, საქართველოს ისტორია სავსეა ნეგატიური მოვლენებით, იქნება ეს ლეგიტიმური ხელისუფლების გადაგდება, სამოქალაქო ომი თუ კლანური მმართველობა. მე 19 წლის ვარ და არ მაქვს სურვილი მომდევნო წლებში ძალის მიერი გზებით ვაგდებდეთ და ვირჩევდეთ ხელისუფალს და ეს ხდებოდა ყოველ 5-10 წელიწადში ერთხელ. მე ვარ სტუდენტი და ვფიქრობ რომ ევროპა ჩვენთან არ მოვა, ეს არის მიზანი რომლისკენაც ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, რათა უფრო წრაფად განვითარდეთ და ვიყოთ მეტად დაცულები. თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი წილი აგური უნდა ჩავდეთ ამ მიზნის მისაღწევად რაც შეიძლება მალე შევალთ ევროპული ოჯახის კარი და დავიმკვიდროთ საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენი ადგილი. ეს არის ყველასთვის მარტივი აღსაქმელი და ზოგჯერ ამიტომაც გვესმის ზოგიერთი თანამემამულისგან ამ საკითხის გაუაზრებელი დაკნინება, რომ ევროპის გარეშე არსებობდა და კვლავაც იარსებებს ქართველი ერი. მათ რომ კარგად იცოდნენ საქართველოს ისტორია, არ გაუჭირდებოდათ მიხვედრა რომ ამდენი ჭირ-ვარამის გავლა ჩვენ ქვეყანას სწორედ იმიტომ მოუხდა რომ არ ყავდა ძლიერი და საიმედო მეგობრები. ევროპა ჩემთვის ასოცირდება სიახლეთან, ეს არის გზა რომელსაც მიყვართ თავისუფალი სამყაროსკენ, მართლაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსკენ.

მოდით შევთანხმდეთ რომ იდეალური სახელმწიფო არ არსებობს, ასევე, გასათვალისწინებელია, თუ რა ფასეულობებზეა სახელმწიფო არსებობა დაყრდნობილი. გგონიათ, ევროპაში ქრისტიანობა შემთხვევით გავრცელდა? საქრისტიანო და ევროპა ერთმანეთის თანხვედრი ცნებებია, ანუ იმას, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს-ნების თავისუფლება, პიროვნების ფასეულობა, არა კაც კლა-ევროპული ცივილიზაციაც იზიარებს, რომელიც ქართულ თვითმყოფადობას არ გამოირიცხავს. რაც შეეხება პიროვნების პატივისცემას, სამართლებრივს ნორმებს, მინუსების მიუხედავად, მაინც დემოკრატიული წყობა ჯობია. ჩერჩილიც ამბობდა, არც დემოკრატიაა იდეალური წყობა, მაგრამ მასზე კარგი კაცობრიობამ ვერაფერი მოიგონაო.

როგორც ცნობილია, „ევროპა“ და „აზია“ ფიზიკურ კონტინენტს წარმოადგენდა და გაერთიანებულია „ევრაზიის“ სახელწოდებით. ამ საერთო კონტინენტის დაყოფა „ევროპულ“ და „აზიურ“ ნაწილებად არებითად პირობითია, უფრო გეო-პოლიტიკური ფაქტორებით არის შეპირობებული და ძირითადად კულტურულ-იტორიულ ტრადიციებს ემყარება.

თვით ბერძნული სახელები „ევროპა“ და „აზია“ სემიტური წარმომავლობის სიტყვებს უკავშირდება, შესაბამისად „სალამოს“, „მზის ჩასვლისა“ და „გამოსვლის“, „მზის ამოსვლის“ მნიშვნელობებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ევროპა ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ ფინიკიელი (ე.ი ემიტი) მეფის ქალიშვილი იყო.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ევროსაბჭოში შესვლა არსებითად დადასტურება გამოდის იმისა, რომ ქართული სახელმწიფო გეოგრაფიულად ყოველთვის ევრაზიული კონტინენტის ევროპულ ნაწილს განეკუთვნებოდა. საქართველოს ამ საბჭოში გაწევრიანება ერთგვარად ჩვენი ტრადიციული „ევროპულობის“ აღიარებაა. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ზურაბ ჟვანიას მიერ ევროსაბჭოში ნათქვამი სიტყვები: „ვარ ქართველი,

მაშასადამე ვარ ევროპელი“, ამასთან დაკავშირებით სავსებით კანონზომიერად უნდა დადგეს აგრეთვე საკითხი საქართველოსა და სხვა სამხრეთ კავკასიური ქვეყნების, როგორც ევროპული სახელმწიფოების, ევროგაერთიანებაში შესაძლო მიღების კანონზომიერების შესახებ. მაგრამ რამდენად „წმინდა ევროპულია“ თვით ქართული ცივილიზაცია? რომელ სამყაროს განეკუთვნება საქართველო. კულტურულ-ისტორიულად - „დასავლურს“ თუ „აღმოსავლურს“, როგორც კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ავლენს ქართული სახელმწიფოებრიობა თავისი სამი ათას წლოვანი ისტორიის მანძილზე? რამდენადც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს ესაზღვრება, ბუნებრივია ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენდეს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად.

ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ითვლება. თვით ეს ბერძნული, „ელინური“ კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთი ლაშქრობების შემდეგ ჩამოყალიბდა ე.წ „ელინისტური“ კულტურა და ცივილიზაცია (გერმანელი მეცნიერის დროიზენის მიერ შემოღებული ტერმინი), რომელის წარმოადგენდა ბერძნული, „ელინური“ კულტურის შერწყმას აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებთან, ამ პროცესში წინარე ისტორიულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა. აღმოსავლეთიდან მომდინარე ეს კულტურული იმპულსები და გავლენები დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე აისახება, სწორედ ცნობილ ლათინურ სენტენციაში - „Ex oriente Lux“ – „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“. ამ სიმბიოზური „ელინისტური“ კულტურის შერწყმით აღმოსავლურ ქრისტიანობასთან იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შემოდიან აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის ისტორიული საქართველოც. „ელინისტური“ კულტურული ტენდენციების საფუძველზე ყალიბდება აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში ახალი კულტურული ცენტრები, საკუთარი ეროვნული დამწერლობით და აღმოსავლეთ-დასავლურ ცივილიზაციაზე დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით. ამაშია სწორედ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა და განუმეორებლობა, ამაში მდგომარეობს მისი მომხიბვლელობა როგორც დასავლეთისათვის, ისე აღმოსავლეთისათვის. საქართველო იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ კულტურულ ცენტრად, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე მრავალი აღმავლობა და დაცემა განიცადა, სანამ იგი დღემდე როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოდ მოაღწევდა.

დღეს უნიკალური მანსი გვეძლევა ამ კულტურის მსოფლიოში გაცხადებისა და დემონსტრირების, და ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. გოეთეს სიტყვებს გავიხსენებდი: „ვინც თავის თავი და სხვანი შეიცნო, აქ იმასაც შეიმეცნებს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი ერთმანეთს აღარ უნდა დავაცილოთ“ („Wer sich selbst und andere kennt, Wird auch hier erkennen, Orient und Okzident Sind nicht mehr zu trennen“).

რაც შეეხება ეკონომიკას, არსებობს მრავალი არგუმენტი თუ რატომ ევროპა და არა რუსული ბაზარი. მოდი შევადაროთ მოსახლეობისა და ეკონომიკის ზომები (CIA Fact Book 2013, DGP-ppp)

	მოსახლეობა (მილიონი)	მშპ (ppp, US\$ 1,000,000)	მშპერთადამიანზე (ppp US\$)
ევროპისკავშირი	503	15,970	31,750
"ევრაზიისკავშირი"	183	2,971	16,220

ანუ ევროკავშირი თითქმის 30-ჯერ მეტი და უფრო მდიდარი მოსახლეობით 5-ჯერ დიდი ეკონომიკის პატრონია (გაითვალისწინეთ, რომ ევრაზიის კავშირის მშპ-ს ნახევარზე მეტი ნავთობია და გაზის შემოსავლებია და სხვა სექტორები ნაკლებადაა განვითარებული). არსებობს კიდევ ჩრდილოეთი ამერიკა და სხვა კონტინენტები, სადაც მოფლიოს ეკონომიკის ნახევარია.


რუსული (ევრაზიული) ბაზარი ძნელად ხელმიაწვდომია. ოფიციალურად არსებული ბარიერები აღწერილია, მაგალითად მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ გამოკვლევაში ბიზნესის კეთების სიადვილე მსოფლიოში (Easy of Doing Business, WB). მოდი შევადაროთ 2014 წლის საზღვარზე ვაჭრობის რეიტინგები ევრაზიის და ევროპის კავშირების შერჩეულ ამ ქვეყანაში:

პორტუგალია	25
უნგრეთი	70
ბელგია	11
ყაზახეთი	186
რუსეთი	157
ბელარუსი	149
საქართველო	38

ასევე გადავამოწმოთ იმავე ქვეყნებზე საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის შეგრძნები ინდექსი. (Corruption Perception Index, 2012)

პორტუგალია	33
უნგრეთი	46
ბელგია	16
ყაზახეთი	133
რუსეთი	133
ბელარუსი	123
საქართველო	51

ასევე შევადაროთ სხვა ეკონომიკური თავისუფლებები ევროკავშირის და შესაძლო ევრაზიული კავშირის ქვეყნებს შორის (Index of Economic Freedom, Heritage Foundation, 2013)



ამკარაა, რომ ევროპის კავშირი გაცილებით მეტ გახსნილობას, ეკონომიკურ ვაჭრობას თავისუფლებას გვპირდება. უფრო მნიშვნელოვანია ვაჭრობის არაოფიციალური ბარიერების გადალახვის სიადვილე: რუსეთის ურთულესი შიდა სახელმწიფოებრივი რეგულირებები, ბიუროკრატია, ცენტრალიზაცია, კორუფცია და მაფიური კლანები, რომლებიც პირდაპირ აკონტროლებენ საცალო და საბითუმო ვაჭრობა. შესაძლებელია ასეთი ბარიერების გადალახვა შედარებით უფრო ადვილია დიდი უკრაინული ფირმებისთვის, თუმცა პატარა ზომის კომპანიებისთვის, როგორც ხარისხიანი საქონელი უნდა ჰქონდეთ გასაყიდად-ასეთ ბაზარზე მოქმედება ძალიან რთული იქნებოდა.

რატომ ევროპა? - მისმევენ შეკითხვას და შემდეგ ამატებენ: ჩვენ ვიცით რუსეთი და არა ევროპა, ჩვენც გვახსოვს რუსეთი და არა ევროპა, ჩვენ ვიცნობთ რუსებს და არა ევროპელებს. ჩვენ მდიდრები ვიყავით რუსეთთან ერთად, ჩვენ სამუშაო ადგილები ღია გვქონდა რუსეთთან ერთად, ჩვენ თავისუფლად გადავაადგილდებოდით და გვქონდა ღია საზღვრების შეგრძნება. ჩვენ კარგ საჭმელს ვჭამდით. ჩვენ სამსახურები გვქონდა და ღირსეულ ქართველებად ვგრძნობდით თავს. ძნელია უპასუხო ამის მოქმედებს, რატომ ევროპა და არა რუსეთი. ქართველს ძლიერი გენეტიკური მოცემულობა აქვს და ის არასოდეს უშინდება სიახლეს, ახალს უკეთესს და ფასეულს. ასევე, ქართველის ძლიერი გენეტიკური მოცემულობა ილტვის ინტელექტისკენ, დახვეწილობისკენ, განათლებისკენ. ამაზე არის ერთი პასუხი: ჩვენმა გენმა და ინტელექტმა უნდა აჯობოს მახსოვრობას. ჩვენმა გენმა დღეს უნდა მიმართოს ქვეყანა იქითკენ საითკენაც მიილტვოდა თითოეული ჩვენი საამაყო ქართველი მეფე, თუმცა არ ეძლეოდა ოცნების ასრულების შეაძლებლობა. თუმცა წვეთ-წვეთად ეს საქმე კეთდებოდა. ჩვენც ჩვენი წვეთი უნდა ჩავღვაროთ მომავლის საქმეში. მწამს, რომ ქართველი იქითკენ წავა, რა ფასეულობაც მასში დევს, რა გენეტიკური

მოცემულობაც მასში ბუდობს. მოგონებები წარსულია, ჩვენ კი მომავალი უნდა ავაშენოთ-ახალი მოგონებებით ვიაროთ ევროპისაკენ.

საქართველომ უნდა მოიკრიბოს ყველა ძალა და უნარი, რათა გადადგას ეს ნაბიჯი და ჩამოვშორდეთ არაცივილიზებულ სამყაროს, სადაც ადამიანი არ წარმოადგენს მთავარ ღირებულებას. ევროკავშირმა კი უნდა შეძლოს ასეთი ნაბიჯების დროული და უყოყმანო გადადგმა, რათა არ შექმნას საშუალება და საფუძველი რუსეთის აქტიურობისათვის და აგრესიისათვის. მით უმეტეს, საქართველოს მიმართ, რომელიც ეკონომიკური რეფორმების ჩემპიონია და სავაჭრო საზღვრებიც უფრო მეტად აქვს გაღებული ვიდრე თვითონ ევროკავშირს.

„რატომ ვირჩევთ ევროპას?“

სოფიო მენტეშაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი

თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის საკითხია. ამ თემის ირგვლივ ცხარე დისკუსია მიმდინარეობს პოლიტიკურ წრეებსა და სხვა სოციალურ ჯგუფებში. ჩვენი ქვეყანა მრავალ საშუალებას იყენებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გახდეს ევროკავშირის წევრი. თავის მხრივ, ევროპული მხარეც თავს არ ზოგავს, გარკვეული ნორმატივების, კრიტერიუმებისა და სტანდარტების დასაწესებლად. ეს პარამეტრები ვრცელდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და მორალურ სფეროებზე.

რატომ მივისწრაფით ასეთი მონდომებით ევროპისკენ? რა წინააღმდეგობები გვხვდება მისკენ მიმავალ გზაზე? როგორ უნდა დაჩქარდეს ეს პროცესი? საერთოდ, რას ნიშნავს ნამდვილი ევროპელობა და აქედან გამომდინარე, ვიცით კი რატომ ვირჩევთ ევროპას?

იმისათვის, რომ მოცემული საკითხი სიღრმისეულად განვიხილოთ და უკანასკნელ კითხვასაც სრულყოფილი პასუხი გავცეთ, დავიწყოთ ევროპის ზოგადი ისტორიული განმარტებით.

საკუთრივ სახელდების ეტიმოლოგია ასეთია: სიტყვა "ევროპა" ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. ასე ერქვა ფინიკიის მეფის, აგენორისა და ტელეფასას ასულს, რომელიც ზღვაში ბანაობისას ზევსმა დაინახა და ძალიან მოეწონა. ის ქალიშვილის თეთრი ხარის სახით გამოეცხადა, მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე წაიყვანა. აქ მათ სამი შვილი ეყოლათ: მინოსი (მომავალში კრეტის ლეგენდარული მეფე), რადამანთისი და სარპედონი. სწორედ ამ ასულის სახელი უწოდეს ბერძნებმა კონტინენტს. ნიშანდობლივია, რომ ჰომეროსისათვის "ევროპა" კრეტის მითიური დედოფალი იყო და არა გეოგრაფიული სახელწოდება.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული 31 ქვეყნიდან 24 ევროპაშია, მათ შორის 4 დიდი "შვიდეულიდან". იგი საერთაშორისო ტურიზმის მთავარი რეგიონია.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ყველაზე ცნობილი 100 პიროვნებიდან, 71 ევროპელია. აქედან გადიოდა უძველესი სავაჭრო გზები. ამასთან, ახალი ქვეყნების აღმოჩენის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი ევროპას ეკუთვნის.

დამეთანხმებით, შთამბეჭდავად ჟღერს. მაგრამ რაში მდგომარეობს ამგვარი წარმატების საიდუმლო? სად უნდა ვეძიოთ მისი ფესვები?

ევროპული ცივილიზაციის ბაზისი სამ ძირითად მიმართულებას ეყრდნობა. ესენია: ბერძნული ფილოსოფია, რომაული სამართალსი და ქრისტიანული სარწმუნოება.

ევროპის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვისაც შეგვევლო თვალი, გამოგვეყო მსგავსება ქართულ და ევროპულ ცივილიზაციებს შორის და ობიექტურად გვემსჯელა, რატომ გვსურს, გავხდეთ ევროპის სრულფასოვანი მოქალაქენი?

თუკი ევროპა ფილოსოფიის ძირძველი სკოლაა, მას არც ჩვენ ჩამოვრჩებით. აგერ უკვე 411–491 წწ. გვყავდა პეტრე იბერი – ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი.

აგრეთვე შეუძლებელია არ ვახსენოთ არსენ იყალთოელი, XI-XII საუკუნეების ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი.

ამასთან, აუცილებლად უნდა მოვიგონოთ იოანე პეტრიწი – XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი.

თუკი ევროპა სამართლისა და იურისპოდენციის შემქმნელია, აღსანიშნავია, რომ ამ მხრივაც მოგვეპოვება ადგილობრივი საგანძური. XIV საუკუნეში გელათში შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი "გარიგება ხელმწიფის კარისა" და საისტორიო წყარო "გელათური ქორონიკონი".

თუკი ევროპა ქრისტიანობის უმთავრესი მიმდევარია, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ I საუკუნიდან საქართველოში უშუალოდ მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს ქრისტიანობა. შემდეგ იყო წმ. ნინო განმანათლებელი 326 წელს, რომელმაც ხელმეორედ გააქრისტიანა აღმოსავლეთ საქართველო. ასევე ასურელი მამები, რომლებიც VI - საუკუნის 30 – იან წლებში მოგვევლინენ და დააარსეს სამონასტრო კულტურა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მაცხოვრის კვართის მცველად საქართველოს ეკლესია მიიჩნევა.

თუკი ევროპა ღვინის სამშობლოა, ჯერ კიდევ I საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ გარდა გზებისა, არქიტექტურულად მოწყობილი და კრამიტით გადახურული შენობა-ნაგებობებისა, კოლხები ღვინოსაც კარგად აყენებდნენო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ქართული ვაზის მეტად უნიკალური სახეობები, რომლებსაც საერთაშორისო ბაზარზე დღესაც დადებითად აფასებენ.

თუკი ევროპა ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკისა და პოეზიის აკვანია, ქართველებს ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან გვქონდა დამწერლობა (დღემდე არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი ქართულია). შესაბამისად, რაღა თქმა უნდა, იქმნებოდა სხვადასხვა ჟანრის თხზულებებიც, მაგრამ ჟამთა სიავის გამო, ჩვენამდე მხოლოდ იაკობ ხუცესის მიერ შექმნილმა ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებმა "შუმანიკის წამება" მოაღწია.

თუკი ევროპა პარლამენტარიზმის წიაღია, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს უნდა დაარსებულიყო "კარავი", პარლამენტის მსგავსი დაწესებულება, რომლის შექმნაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა დასმა საქართველოს მეფეს, თამარს მოსთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ იდეა ბოლომდე ვერ განხორციელდა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და პროგრამა ნათლად გვიჩვენებს, განვითარების რა დონეზე იდგა ქართული საზოგადოება.

თუკი ევროპა ტოლერანტობა და შემწყნარებლობაა, ამ მხრივაც მუდამ გამოვიჩნდებით ქართველები, სადაც ოთხი სხვადასხვა ტრადიციული რელიგიის წარმომადგენლები მშვიდობიანად ეთვისებოდნენ ერთმანეთს. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს თბილისში მდებარე "აბანოთუბანი", სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის შენობა-ნაგებობა მოგვეპოვება. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 26-საუკუნოვანი მეგობრობა ებრაელებთან, რომლებიც დღესაც მადლიერებით იხსენებენ საქართველოს.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: ასეთი ისტორიის მქონე ხალხს, რა გვიშლის ხელს, ვიყოთ ნამდვილი ევროპელები, რაც თავის თავში გულისხმობს ჭეშმარიტი ქართული ღირებულებების (რომლებთანაც ჰარმონიაში მოდის ევროპული ფასეულობებიც) მქონე ხალხად დარჩენას?!

სამწუხაროდ, დღესაც არ ვართ მზად, მივიღოთ დასავლური ცოდნა, კულტურა, სიახლეები... ისევ ვებღაუჭებით წასულს და ვერ გაგვიგია, რომ „კარები უნდა გავალოთ, თორემ დავიღუპებით, მანქანა და ცოდნა უნდა შემოვუშვათ, თორემ ფარსმან მეფის დროს დავუბრუნდებით, ხიდი უნდა გავდოთ, თორემ დავიღვებით!“ ჩვენი ვალია, ვაშენოთ ეს ხიდი ცოდნით, რწმენით, განათლებით, კაცთმოყვარეობით, თორემ „ჯანსაღ ველურობაში“ ამოგვხდება სული!.. „დრო არასოდეს მოდის, იგი მიდის და ვინც მას არ გაჰყვება, დაიღუპება.“

ქვეყნის განვითარების, აღორძინებისა და წინსვლის საფუძველი, ვფიქრობ, ისტორიული წარსულის მოფრთხილებაა. ქართული გენი ყოველი ქართველის სულში მძლავრობს. ჩვენ ხომ მართლაც გვაქვს საამაყო: უძველესი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ადათები გაგვაჩნია. ისინია მთავარი ნაწილი ჩვენი ეროვნულობისა, თვითმყოფადობისა. მაგრამ განა ყველა მათგანი აღმოცენებულია მორალური, ადამიანური თუ ჭეშმარიტი რელიგიური ნორმების ნიადაგზე? განა ყველა ჩვეულება სარგებლის მომტანია?

ნამდვილად არსებობს საფრთხე, რომ პატარა ერმა დიდ ცივილიზაციასთან დაახლოების პროცესში დაკარგოს თვითმყოფადობა, მაგრამ განა არ შეიძლება, თანამედროვეობის გამოწვევებიც მივიღოთ და ტრადიციების ერთულებადაც დავრჩეთ?! რა თქმა უნდა, შეიძლება! აუცილებელიც კია, ვეზიაროთ ახალ ფასეულობებს (ძველის დაუკარგავად), განვაახლოთ გონების მაგრად დალუქული აზრთსაცავები და სულიერად განვითარდეთ. ამას კი ქვეყნიერებისგან დამალულნი, გადაკარგულნი და ჩვენს კუთხეში შეყუჟულნი ვერ მივალწევთ! როგორც ილია ამბობს: „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებლი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ დავუხვედრეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ჩემთვის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვე ქართველი ახალგაზრდისთვის, რომელიც პატივს სცემს ძირძველ ქართულ ტრადიციებსაც, უმნიშვნელოვანესია ევროპის წიაღში შესვლა, მის დღევანდელ ღირებულებებთან ზიარება. თუმცა, რა თქმა უნდა, წინ უამრავი სირთულეა. ეს სირთულეები არ უნდა ვეძებოთ გარეგან ფაქტორებში- უმთავრესი წინააღმდეგობა ჩვენს სულიერ მოუმზადებლობასა და მოუმწიფებლობაშია. ქართული საზოგადოება, სამწუხაროდ, დღემდე არ არის მზად, დაუბრკოლებლად მიიღოს ევროპის ფუნდამენტური ღირებულებები.

უნებლიედ გამახსენდა იტალიელი სცენარისტის, ტონინო გუერას სიტყვები. ის გულმხურვალედ ამბობდა: „თქვენს ერს მარად აღტაცებით შესცქერის ყველა. დარჩით ისეთ ხალხად, რომელსაც შეუძლია ასწავლოს სხვას ცხოვრების მორალური წესები“.

საკონკურსო ნაშრომები თემაზე - „არის თუ არა მედია საქართველოში თავისუფალი“

„არის თუ არა მედია საქართველოში თავისუფალი“

ბილლი ისიანი
საქართველოს უნივერსიტეტის
სოციალური მეცნიერებები - ჟურნალისტიკის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სტუდენტი

მედია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ნიშნავს მასობრივ კომუნიკაციას, რომელიც, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული საშუალებით, აწვდის საზოგადოებას გარკვეულ ინფორმაციას. აუდიტორიასთან ინფორმაციის მიწოდების შედარებით ახალი გზაა ინტერნეტი. დემოკრატიულ საზოგადოებაში, მედიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს, მაგრამ ეს ყველაფერი საქართველოში, ჩემი აზრით, მოიკოჭლებს. ჩვენ თუ ვამბობთ, იმას რომ მედია არის საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა, და ფორმირების საუკეთესო საშუალება, შესაბამისად უნდა მოვახდინოთ ამ ყველაფრის რეალიზება ჩვენს სახელმწიფოში.

საქართველო არის დიდი ისტორიის მქონე ქვეყანა, რომელიც მთელი მისი არსებობის მანძილზე იბრძოდა და იბრძვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. შესაბამისად მედიაც, მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ის რაც დღეს ხდება, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი თუ პრესა, ვფიქრობ რომ დღეს არცერთი ეს მიმართულება არ არის თავისუფალი. თითოეული მათგანის ბედი დამოკიდებულია, იმაზე თუ ვინ არის ხელისუფლებაში, ვის აქვს პერსპექტივა ხელისუფლებაში მოსვლის და ვის გადაეწურა ეს შანსები. ოთხივე ზემოთ ჩამთვლილი მედია საშუალება არის მიკერძოებული და მე პირადად ვერ ვხედავ ვერანაირ ძვრას მისი გამოსწორებისკენ.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ ამის გამოსწორება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ მედია აღიქმება როგორც ბიზნესი და ფულის შოვნის გზა. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა არის ბიზნესის განვითარების დაბალი დონე და შეზღუდული სარეკლამო ბაზარი, რომელიც ტელევიზიებს დიდი შემოსავლების მიღების საშუალებას არ აძლევს. აქედან გამომდინარე, ის ტელეკომპანიები, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობა შეუძლიათ, დიდი ბიზნესების საკუთრებაა და მათგანვე ფინანსდება, ხოლო თავად ეს ბიზნესები თავიანთი საქმიანობის სხვა სფეროებში ხელისუფლებასა და არსებულ ვითარებაზე არიან დამოკიდებულნი, რაც აიძულებს ხელისუფლების მხრიდან პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტროლს შეეგუონ. ის ტელეკომპანიები და მედია საშუალებები, რომლებიც მოერგნენ ამ ხელისუფლებას და კონტროლს დღეს, მართალია არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც მიკერძოებული არიან. ხოლო იმათ ვინც ამ კონტროლზე უარი განაცხადეს, შესაბამისად გახდნენ მსხვრეპლნი არსებული სიტუაციის. არ მსურს დამბრალდეს რომელიმე მათგანის დაცვა, უბრალოდ რამაც შემაწუხა, იმას მიმოვიხილავ.

მიუხედავად იმისა, თუ როგორია პროფესიული მედიის ფუნქცია, მისი უპირველესი მისია არის კომუნიკაციის თავისუფლების გამოყენება, რათა ხალხმა მიიღოს ინფორმაცია გარე სამყაროზე საკუთარი დაკვირვებების შესახებ. სწორედ ეს თავისუფლებათა ერთ-ერთი იმ რამოდენიმე უფლებათაგანი, რომლის არსებობას და საჭიროებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა, შესაბამისად, ადამიანთა მოდემის გადარჩენა. როგორც არ უნდა იყოს დიქტატურა, საერო თუ თეოკრატიული, მონარქიული თუ იმპერიული, სამხედრო თუ კოლონიალური, ბურჟუაზიული თუ პროლეტარული - ის ყოველთვის ზღუდავს სიტყვისა და მედიის თავისუფლებას. ამდენად, თავისუფლება იქცა დემოკრატიის სიმბოლურ ფაქტორად.

„არ არსებობს ჭეშმარიტი თავისუფლება შეზღუდვების გარეშე“. ჩვენ თუ მივყვებით ამ პრინციპს და ამ სიტყვებს გამოვიყენებთ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის, მივალთ იმ შედეგამდე, რაც რეალურად გვსურს. ჩემი აზრით, ეს სიტყვები არის პერსპექტივა და მოლოდინი იმის თუ რა იქნება წლების შემდეგ, ვიქნებით ისევ იქ სადაც ეხლა ვართ და ვილაპარაკებთ კვლავ მედიის თავისუფლებაზე თუ ვასწავლით სხვას თუ როგორ გავხადოთ მედია თავისუფალი. მედიის როგორც თავისუფალი სტრუქტურის შეცვლის ვალდებულება აკისრია ყველა იმ ადამიანს ვინც ცხოვრობს საქართველოში და აწუხებს ეს ფაქტი. დაწყებული ჩემიდან, იმიტომ რომ მე მომავალი ჟურნალისტი ვარ, იმიტომ რომ მე ვარ საქართველოს მოქალაქე და დამთავრებული იმ ადამიანით ვინც ჩემს ანალიტიკურ თემას კითხულობს.

„არის თუ არა მედია საქართველოში თავისუფალი“

ეთერი გვარამაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის
ბაკალავრიატის სტუდენტი

მედიის თავისუფლების ხარისხი ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება. ტერმინი-თავისუფალი მედია საქართველოს მოსახლეობას სულ უფრო და უფრო ხშირად ესმის. ამ თემაზე მსჯელობს ყველა, სკოლის მოსწავლიდან დაწყებული ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებით დამთავრებული. მსჯელობაში ჩართული ფართო საზოგადოების გამო მოსაზრებებიც განსხვავებულია. ზოგი თვლის, რომ მედია თავისუფალია, ზოგი კი მას პოლიტიზირებულს უწოდებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით კი ქართული მედია სივრცე ნაწილობრივ თავისუფალი მედიის კატეგორიაში ხვდება, მაგრამ, ჩემი აზრით, დღესდღეისობით განვითარებული მოვლენები ამ ნაწილობრივი თავისუფლების ხარისხსაც ექვემდებარება აყენებს. ქართული მედია სივრცე პოლიტიკური ძალის ზეგავლენას განიცდის, რის გამოც, მედია ვერც ხელშეუხებელი იქნება და ვერც თავისუფალი. თითქმის არ არსებობს მედია

საშუალება, რომელიც რომელიმე პარტიის პროპაგანდას არ ეწევა. გასართობი თოქ-შოუებიც კი პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ცენზურას ანუ კონსტიტუცია გამორიცხავს გამოსაქვეყნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით წინასწარ კონტროლს ინფორმაციის საშუალებაზე. არავის აქვს უფლება აუკრძალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, გამოაქვეყნოს ინფორმაცია ან აიძულოს იგი რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა დაუშვებელია და მედიას პირდაპირი იძულების მექანიზმებით არ აკონტროლებენ, ის მაინც რომელიმე იდეოლოგიის გავლენას განიცდის და არაა თავისუფალი აზრის გამოხატვაში.

საქართველოს მედია-ისტორიის განმავლობაში საკმაოდ მრავლადაა დაკეტილი, დაყადაღებული, ინფრასტრუქტურა დაზიანებული ტელევიზიები. ეს ხდებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხელისუფლების პერიოდში, ასე რომ, რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ვერ დავაბრალებთ მედიის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვას. ეს უფრო ფართომასშტაბიანი პრობლემაა, რომელშიც ბევრი ადამიანია ჩართული. მოგეხსენებათ, ვინც თვალს ხუჭავს უსამართლობაზე უსამართლობის თანამონაწილეა, ამის გამო, დამნაშავეთა რიცხვი ძალიან დიდია. დამნაშავეები არიან თავად მედიის წარმომადგენლები, რომლებიც არაფრად აგდებენ კონკურენტი მედია საშუალებების გასაჭირს, დამნაშავეები ვართ ჩვენ, საზოგადოების წევრები, რომლებიც ხმას არ ვიღებთ უსამართლობაზე და გვემინია სასჯელის, რომელიც ჩვენი ხმის ამოღებას შეიძლება მოჰყვეს.

2007 წლის 7 ნოემბერს „TV-იმედის“ დარბევა, 2011 წელს აჭარის ტელევიზიის წინ ჩატარებული აქციის შედეგად დაზიანებული ტელევიზიის ინფრასტრუქტურა, „მაესტროს“ დახურვის მცდელობა, სხვადასხვა პოლიტიკური გადაცემების დახურვა არჩევნების წინა პერიოდში, დღესდღეისობით „რუსთავი 2-ის“ გარშემო მიმდინარე მოვლენები და სასამართლო პროცესები-ეს ის ფაქტებია, რომლებიც შავ ლაქად ამჩნევია არა მარტო მედიას, არამედ თანამედროვე საქართველოს ისტორიასაც, რომელიც დემოკრატიულობისკენ ისწრაფვის, რადგან დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის სიტყვის, გამოხატვის და მედია საშუალებების სრული თავისუფლება.



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
ფაქტ. მისამართი: ვაზისუბნის ქ., №7, 0160, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: pryoubarristers@yahoo.com;
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ვებ-გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.



ა დ ვ კ ა ტ ა
ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო

ორგანიზაციის სახელწოდება: შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ ს/კ 402014271
ელ-ფოსტა: ybarristers@gmail.com ; info@edubarristers.ge;
დაარსების თარიღი: 2015 წლის 07 მაისი
ვებ-გვერდი: www.edubarristers.ge
FB: www.facebook.com/edubarristers
ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა“
ანგარიშის ნომერი: GE48 BR00 0001 0852 5441 46

*სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე.*